საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — კვირა, მარტის 4 (17) 1918 წ. № [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ტრაპიზონიდან სამშვიდობო დელეგაციის შესახებ ახალი ცნობები არ მოსულა.—აჭარაში ჯარის-კაცებსა და აჭარლებს შორის პროვოკატორების წყალობით მდგომარეობა მწვავდება.—ტფილისში სარევოლუციო ტრიბუნალმა თერთმეტი ხულიგანი ჯარის-კაცი დახვრიტა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარათის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

დამწუხრებულნი მეუღლე ვასილ, შვილები მარიამ, თამარ, ელისაბედ, ნინო, ზაქარია და ვასილ ბოქოლიშვილები, დედა ნინო, ქუსიკაშვილისა და და ელექსანდრა და სიძე ზაქარია ლომიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ეკატერინე გრიგოლის ასული ბოქოლიშვილის

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ოქრომჭედლების ქ. 6. გამოსვენება დანიშნულია 9 ნახ. საათზე 7 მარტს ქაშვეთის წმ. გიორგის [illegible] ნინოს სასაფლაოზე. 277



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური შენობა. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს 4 მარტს, გამართება

ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით მოსწავლეებისათვის საღამოს სრული პროგრამით. მონაწილეობს მთელი დასი. საღამოს ფრანც-იარნაკის [illegible] სრული განმეორება. ჭიდაობა: 1. ფრანც-იარნაკი და ჯიო-მორი, 2. [illegible]გო და ლობრინი, 3. ვანო მეძველაშვილი და ზანკო რაიკოვიჩი. 278

[illegible]ულ უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ

ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა ამით აცხადებს რომ სტუდენტთა

საერთო საცხოვრებელი ბინა

(общежитіе) მოთავსებულია სასულიერო სასწავლებლის ქვედა სართულში ჩერქეზიშვილის ქ. სახლი № 22.

ქ. უნ. სტ. კავშირის გამგეობა.

## დაკარგული ბარათების გამოცვლის წესი

1) ყველა ბარათი სახლის კომიტეტის ხელში უნდა იყოს.

2) ყველა ბარათზე, რომელიც სახლის კომიტეტს აქვს, უკანასკნელი ბეჭედი უნდა იყოს.

3) დაკარგული ბარათების ნაცვლად ახალი ბარათების მიღება ცენტრალურ ბიუროში (ზუბოვის და რტიშჩევის ქ. კუთხე), შეუძლიათ მხოლოდ სახლის კომიტეტებს განცხადების წარდგენის შემდეგ ბარათის დაკარგვის შესახებ, დამკარგველის მოწმობის და სახლის წიგნის წარმოდგენის შემდეგ. განცხადება ბარათის დაკარგვის შესახებ ხელმოწერილი უნდა იყოს საუბნო ინსტრუქტორის მიერ, რომ კომიტეტი მართლა არსებობს და კანონიერად არის ამორჩეული. ამის გარდა განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომელი ფურნიდან იღებს სახლის კომიტეტი პურს.

4) დაკარგულ ბარათში 3 მანეთია გადასახდელი ხარჯის ასანაზღაურებლად.

5) ცალკე პირებიდან განცხადება ბარათის დაკარგვის შესახებ არ მიიღება.

1091 ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

უმაღლეს სწავლა დამთავრებული

წავალ სოფლის მასწავლებლად (სასურველია არაგვის ხეობა) დაწვრილებით პირობები და მისამართი „სახ. საქმის“ კანტორაში. 1093

საჩქაროდ იყიდება

ხინა (ქინაქინა) 3 კილო დაბეჭდილი ინგლისური ფირმისა. მელის გაწმენდილი ტყავები კარგი ხარისხისა, ლურსმანი 1 ფუთი 3 ვერშოკიანი და სხვა ნივთები. ყაზბეგის ქუჩა № 9, სადგ. 4. 1-ლ უბანში. 272

იყიდება

ორ სართულიანი ქვის სახლი ბანკის ვალით პირობების გაგება შეიძლება თელიანის ქუჩაზე, № 16 ბინა 2. 261

**ტფილისი, 3 მარტი 1918 წ.**

**საგანგებო მდგომარეობა.** გუშინ გინერ. ოდიშელიძისაგან გამოგზავნილი დეპეშები იქმნა ყველა გაზეთში გამოქვეყნებული. კავკასიის ფრონტი დაიწურა, სისხლით მორწყული, ძვლებით მოკენჭილი და ოქროებით გამაგრებული მთა-გრეხილები კალმის ერთი მოსმით მტრის ხელში გადავიდა, ამიერიდან ჩვენს ლექსიკონიდან უნდა წაიშალოს ხსენება ალაშქერთის, ყარა-კილისის, ხნის-კალის, მამახათუნის, ბაიბურთის, არზრუმის, ჰასან-კალას და მრავალ სხვა ადგილების. გენ. ანდრონიკის მოხსენების შემდეგ ჩვენი ჯარი უნდა ამოეფარის ოლთისს და სარიყამიშს, ყარს და სხვა ადგილებს.

გენ-რალ ოდიშელიძეს ვეხიბ-ფაშისათვის რადიოთი გადაუცია ცნობა, [illegible] საზღვრებში მოქცეული და ვეხიბ-ფაშასაც სთხოვს ვიდრე საზავო მოლაპარაკება სწარმოებს ბრძოლას თავი გაანებოთო. ამ ცნობასთან ერთად გაზეთებშივე დაბეჭდილია თითქმის დაწვრილებით ყველა ის მოტივი, რომლებითაც გენ. ოდიშელიძე იძულებული იყო ასეთი ნაბიჯი გადაედგა, ამ მოტივს ჩვენ აქ აღარ ვავიმეორებთ, მხოლოდ არ შეგვიძლიან შემდეგ გარემოებას არ მივაქციოთ მთავრობის ყურადღება. თუ გენერლის მოტივებს გაეცნობა ვეხიბ-ფაშა და წარმოუდგენელია რომ არ გაეცნოს, მაშინ რა პატივს დასდებს იგი სარდალი ოდიშელიძის წინადადების ომის შეწყვეტის შესახებ როდესაც ყველაფრიდან აშკარაა, რომ ჩვენი ჯარის სახელმწიფოს საზღვრებამდე დახევა მომხდარა იძულებით. რასაკვირველია, ჩვენი ჯარის დახევა უბრალოდ, უმიზეზოდ არ მოხდებოდა მაგრამ განა შესაძლებელია ჯარის გადაჯგუფების **ყოველი მიზეზის, უმთავრეს მიზეზების** გამოქვეყნება? ნუ თუ ჩვენთვის აღარაა საჭირო არავითარი სამხედრო საიდუმლოება და ვისაც რა მოესურვება უნდა დაიბეჭდოს საქვეყნოდ და უმთავრესად მტრის სასარგებლოდ? ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაუყონებლივ დაწესდეს სამხედრო ცენზურა, რომ ჩვენი სამშობლოს ისედაც გართულებული მდგომარეობა წარამარა ცნობების გამოქვეყნებით კიდევ უარეს მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

მეტად გართულებულია მდგომარეობა სარიყამიშ-ოლთისის ხაზით, არავინ უწყის დღეინდელი და ხვალინდელი ცნობა ამ ხაზის შესახებ რა ცნობას მოგვიტანს, მაგრამ კიდევ უფრო საზარელი ცნობები მოგვდის სამაჰმადიანო საქართველოს მხრიდან. საქართველოს კულტურის აკვანი საარაკო სფინქსად გარდაგვექცა ამ ბოლო დროს. ჩვენი ქვეყნის ეს თვალ-მარგალიტი ქართველობის ზრუნვის საგანი იყო მუდამ, ქართველობის რჩეული შვილები ამ ქვეყნის ბედნიერებას ფიქრობდნენ ყოველ წუთს, აქეთ გვეჭირა კეთილი თვალი, ღვიძლ ძმებმა ჩვენს უფროს ძმებს გულწრფელად გაუწოდეთ ხელი და როცა ოსმალეთის იმპერიალისტების მახე წარმოგვიდგა თვალების წინ, როდესაც ძალით მოისურვეს ჩვენთვის ჩვენი საყვარელი მაჰმადიან მოძმეთაღმი დავივიწყოთ მათი ძმობა, სხეულიდან გული ამოვიღოთ და თავის ქალას [illegible]ინი მოვაშოროთ—ნუ თუ ჩვენ მოვა[illegible] არა ვართ, რომ ეს ჯალათობა [illegible]ვენივე ხელით აღარ ჩავიდინოთ?

ოსმალეთის შემოტევამ ჩვენ გვაიძულა მთე[illegible] ჩვენის იარაღით და ენერგიით შეგვენახა სამაჰმადიანო საქართველოში და მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ერთი განუყოფელი [illegible] დაგვეცვა. ჩვენი ჯარი შევიდ[illegible] აჭარის სოფლებში არა როგორც დამპყრობი და ამწიოკებელი სამხედრო ძალა. ჩვენს გაზეთში იბეჭდება წერილები სამაჰმადიანო საქართველოდან, სადაც ოსმალეთის ჩეთნიკების წინანდელი მოძრაობაა აწერილი, ოსმალეთის ჩეთნიკები არაბევდნენ ჩვენს მოძმე მაჰმადიანებს, სტაცებდნენ ქონებას, ფულს, საცოცხლეს. არაფერი ამის მსგავსი არ ხდება დღეს. საქართველოს ჯარი მაჰმადიან მოძმეთა შორის დღეებს ინაწილებს მხოლოდ, ჩვენ გვინდა მოძმე ვიყოთ აჭარლების გაჭირვებაში, უბედურებაში და მაშინ, როდესაც სამაჰმადიანო საქართველოს არსაიდან საფრთხე არ მოელოდა [illegible] ჩვენი [illegible] შინ იდგა და არც კი [illegible] სამაჰმადიანო საქართველოსაკენ გაიხედა.

სამწუხარო დეპეშა კი ასე რას გვატყობინებს: აჭარაში მოდიან შეიარაღებული რაზმები ახალციხიდან, მოდიან რაზმები შავშეთიდან, ქედაში შემდგარა რამდენიმე ათასი აჭარელთა შეიარაღებული ჯარი და მოითხოვს აჭარის წყლიდან ქართველობის ჯარის გაყვანას. დეპეშაში ნათქვამია, რომ არაჩვეულებრივ ზომების მიღებაა საჭირო, რომ სისხლის ღვრა არ მოხდეს.

რაშია საქმე? ნუ თუ ჩვენი ძმები აჭარლები შეიძლება იმდენად იყვნენ დაბრმავებულნი, რომ ასეთი ბოროტი აზრი მოუვიდეთ კეთილ განზრახვების საპასუხოდ? მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ მთელი აჭარა ამ ბოლო დროის გადაიქცა პროვოკატორების ბუდედ და კაი ხანია იქ შუღლს სთესენ ძმებს შორის. ჩვენს ისტორიას არ ახსოვს ძმათა შორის სისხლის ღვრა შორეულს შავს წარსულში, ხოლო სოციალიზმის და ძმობა-ერთობის ქადაგების დროს ვინ წარმოიდგენს ასეთ სამარცხვინო განზრახვის შესაძლებლობასაც კი!?

უნდა ღავინახოთ, რომ ჩვენს თავზე შავი ღრუბლები იკრიბებიან, ნაძირალები მხნედ მოქმედებენ, პროვოკატორები ღათარეშობენ და ძმებს შორის სისხლის დანთხევას ხელს უწყობენ.

ყოველივე საშუალება უნდა გამოვიყენოთ, რომ ეს პროვოკატორები სამარცხვინო ბოძზე იქმნენ გაკრულნი და დასჯილნი, როგორც ერისა და ძმების მოღალატენი, დაუყონებლივ უნდა გაიგზავნოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მხრივ ცნობილ წევრები ქართველი მაჰმადიანები და ქრისტიან ქართველთა ყველა სოციალისტურ და ეროვნულ პარტიის წარმომადგენლები, რომ მაჰმადიან საქართველოს ყოველ კუთხეს აცნონ საქართველოს დღეინდელი მდგომარეობა და პროვოკატორების საქმეები. დაუყონებლივ უნდა გაძლიერდეს აჭარაში საქართველოს ჯარი და ამ ჯართან განმტკიცდეს ძმური კავშირი აჭარლებისა. დაყოვნება შეუძლებელია.

## სამხრეთის მიმართულება

2.

**სამხრეთ-აღმოსავლეთი.**

ვიდრე ომი დაიწყებოდა გერმანელ იმპერიალისტების საალებ-მისაცემო კულტურის მიმართულება გამორკვეული იყო: ბალკანეთით მცირე აზიაში შეჭრა—აი ლეიტ-მოტივი გერმანულ კაპიტალიზმის აგრესიულ მისწრაფებათა. მოლტკეს და ტირპიცის სკოლის სტრატეგები გამარჯვების მაქსიმუმად აღიარებდნენ აღმოსავლეთით დვინის ხაზამდე მიღწევას და მთელი სამხრეთის ორიენტაცია გერმანელებისა დასავლეთის ბუნებრივ სიღარიბეს ემყარებოდა, ხოლო აღმოსავლეთით „მდევის“ არსებობას. საუკეთესო გასაქანი ამნაირად სამხრეთის მიმართულება იყო. მაგრამ ეხლანდელმა ომმა შესცვალა ძალთა განწყობილება.

თანამედროვე ომმა გერმანიას გამარჯვება მიანიჭა, დიდმა ომმა იმპერიალისტების თამამ ფანტაზიასაც გადააჭარბა და ჩვენ ვხედავთ, რომ არა მარტო პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, მთელი რუსეთიც ხდება გერმანიის კოლონიად. პეტროგრადი გერმანელებმა აიღეს, მოკლე ხანში დაეცემა მოსკოვიც [illegible] კიევი, ხარკოვი, ოდესა. ამნაირად მთელი კულტურული და საალებ-მისაცემო რუსეთი გერმანიას ჩაუვარდა ხელში.

რუსეთის მთლიანობაც აღარ არის, არ არის მთლიანი ჯარი, დემობილიზაცია ისე საშინლად მოხდა, რომ სახელმწიფოს არც არსენალი მოეპოვება და არც სხვა რამ საწყობი იარაღისა. მთელი ქვეყანა უპასუხისმგებლო ყაჩაღებს ჩაუვარდა ხელში და ამათ წინააღმდეგ გერმანელებს შეუძლიათ იმოქმედონ დამსჯელ რაზმებით და ამ რიგად მთელ რუსეთში ჰეგემონია ხელში ჩაიგდონ. რევოლიუციით რუსეთი დაირღვა, მაგრამ გერმანულ რეაქციით რუსეთი შეიძლება კვლავ ალსდგეს გამთელებული, თუმცა ეს სიმთელე მონობის უღლით იქნება გამოსყიდული.

ასეთი კატასტროფიული ფინალი თანამედროვე ომისა გერმანიის იმპერიალისტებს კიდევ ახალ ჰორიზონტებს უშლის. რუსეთი დიდი მასალაა კაპიტალისტურ მრეწველობისათვის. რომანოვების მართველობა რუსეთის ბუნების მხოლოდ ზედაპირს სჩიჩქნიდა და რუსეთის სიღრმეში კი ჯერ არავის ჩაუხედავს. გერმანული კაპიტალი რუსეთში გამოიწვევს დიდ მუშაობას, მთავარ ყურადღების საგანი აღარ იქნება მარტო მცირე აზია და ჩვენ კიდევ გუშინდელ ნომერში გვქონდა აღნიშნული, რომ პეტროგრადში ვაჭრობის მესვეურები—ბარტენები ჩამოვიდნენ ვაჭრობის გასაჩარხავად.

რასაკვირველია სულ სხვა ტემპით იწარმოებს საეკონომიო შემოსევა გერმანელებისა რუსეთში, მაგრამ გერმანელების პლანების გაზრდა ამ ომის დროს თვით ომმა გამოიწვია. გერმანელებს შეუძლიათ და კიდეც მოახდენენ მთელ რუსეთის დაპყრობას ყოველ მხრივ—გარდა ციმბირისა, რომელსაც იაპონიის იმპერიალისტები წაკიდებენ ხელს ახლო მომავალში. ბალტიის ზღვა გერმანელების განკარგულებაშია, შავი ზღვის ნავთსადგურების დაპყრობა გერმანელებმა დაიწყეს, გერმანია სპობს ბოლშევიზმს და შავი ზღვის პირატი—ბოლშევიკები ისე გაირიყებიან, რომ გერმანულ ზარბაზნებით გამაგრებულ ნავთსადგურებს გვერდის ჩაუვლას ვერ მოახერხებენ და ამნაირად ახლო მომავალში შავი ზღვის ფლოტი ან სრულიად ჩაიძირება უმოქმედობის წიაღში და ან ისიც ჩაუვარდება გერმანიის კლანჭებს. ამნაირად შავი ზღვაც გადადის გერმანელების ხელში.

ასეთია მდგომარეობა, ასეთია ჩვენი პერსპექტივა და პროგნოზი რეალურ ძალთა განწყობილებისა. ეს უზარმაზარი დავლა გერმანიას ავალებს პრეტენზიების კიდევ უფრო გადიდებას. იმამდე გერმანიის ოცნებას შეადგენდა ამერიკასთან და ინგლისთან წინასწორობის პრინციპი დაეცვა, ამ ჟამად მდგომარეობამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო გერმანიის სასარგებლოდ. ევროპის ჰეგემონია კი არა, მსოფლიო ჰეგემონია—აი თანამედროვე გერმანულ იმპერიალიზმის პრობლემა. ეს გზა ცხოვრების გზაა, ამ გზას ვერ ასცდება გერმანია და მას არც შეუძლია ამ გზას თავი გაანებოს. გერმანულ ფინანსიურ და ინდუსტრიალურ კაპიტალიზმი აქტიური კაპიტალიზმია, მისი ნაბიჯები აშკარა აგრესიულია და ასეთი ქვეყანა არც შეშინდება დიდი ნაბიჯების გადადგმას. მით უფრო, რომ გერმანული ინტერ[illegible]ტერიტორიალური ხლართები უკვე ფეხ-მოკიდებულია და სამსოფლიო ჰეგემონიას ეძიებს.

რუსეთის იმპერიის ხელში ჩაგდება (რისთვისაც გერმანიის საექსპედიციო ეროვნულები იქნებიან საჭირო) ერთი ელემენტია სამსოფლიო ჰეგემონიისა, მაგრამ მეორე ასეთი ელემენტი მცირე აზიაა სადაც დიდი ბაღდადის რკინის გზა გაჰყავთ—თითქმის დასრულებული—გერმანელებს. მცირე აზიას რუსეთის დაპყრობის გამო გერმანელები თავს ვერ გაანებებენ. ეხლანდელი ომი მცირე აზიისათვის მსოფლიოს ჭიდილია არსებითად და ამ უდიდეს ქვეყნის თავის სურვილით გერმანელების მიერ დატოვება იმიტომაც არ შეიძლება, რომ ეს იქნებოდა ამერიკულ და ინგლისურ კაპიტალიზმისათვის ახალი ასპარეზის გახსნა და მისი გაძლიერების ხელის შეწყობა, რაიც გერმანულ კაპიტალიზმისათვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენს.

ამნაირად, გერმანიის წინაშე დღეს ახალი, მაგრამ უდიდესი ჰორიზონტია გადაშლილი: აღმოსავლეთი და სამხრეთი. ეს ორი ქვეყანა ისე დაკავშირებულია ერთმანეთს, ისე ეგუება ისინი ერთი კლანჭის გაბატონებას, რომ **სამხრეთ აღმოსავლეთის** მიმართულება გერმანიის სამსოფლიო ბატონობისათვის აუცილებელი პირობაა.

კიდევ ერთი ფაქტორი უნდა აღვნიშნოთ ამ შეერთებულ კომბინაციისა. გერმანელების წინაშე თვალუწვდენელი ტერიტორიალური მსოფლიო გადაიშალა. ამ „უდაბნოში“ გერმანია ან უნდა იქცეს ძველ რუსეთის მსგავს სახელმწიფოდ, ვინაიდან მისი კაპიტალი ვერ მოახერხებს ყველგან ერთნაირის ინტენსიობის გამოჩენას და ან შექმნას ისეთი კომბინაცია, რომ დიდი აპარეგში მალიანად ჩაყლაპოს და შეირგოს. გერმანია ბრიყვი სახელმწიფო არ არის, რომ ველების სიდიადეებმ დააბრმაოს. თვით გერმანიამ კარგად იცის, რომ დიდ საჭმელს სათანადო კბე სჭირია მოსანელებლად და ამ მხრივაც გერმანიის პლანები ზედმიწევნით შეხამებულია ცხოვრების ობიექტიურ პირობებთან.

დღეს ხომ რომელიმე ბავარია და პრუსია არ არის ჩვენს წინაშე. გერმანია დღეს არა ერთი ეთნიურ სახელმწიფოების შეერთება, ამ შეერთებით, ფედერატიული კავშირით გერმანიამ

ხულ ორმოცი წლის განმავლობაში მაყვავა თავისი ქვეყანა, მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე არც მარტო ასეთი შეერთებული გერმანიაა. თუ ოსმალეთის იმპერიას არ მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ჯერჯერობით განსაცდელისაგან დაიხსნა გერმანიამ, გერმანული მუშტი სამი სახით არის წარმოდგენილი და საშიშდეგოდ გერმანიის იმპერიალისტები არც ტრიუმვირატით კმაყოფილდებიან. განა ნაუმანის „შუა ევროპა" გაფართოვებული და გადიდებული გერმანული ფედერაცია არ არის, რომელიც დიდი კუპის საშუალებით ჩაყლაპვას უპირებს მსოფლიოს? და მართლაც „შუა ევროპის" გერმანული იდეოლოგია სწორედ შეეფერება და გამოხატავს იმ რეალურ ძალთა განწყობილებას, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის სახით დღეს წარმომდგარია ჩვენს წინაშე. ეს დიდი ევროპული ფედერაცია შესძლებს დიდ აზიურ ქვეყნის მიწყობ-მოწყობას, საფუძვლიანად გადახვნას, რომ კაპიტალისტური კოლოსი კიდევ უფრო საშინელების სახით აღიმართოს მშრომელ კაცობრიობის თვალების წინ.

ასეთია მდგომარეობა. ჩვენს წინაშე ავანტიურა არ არის. აქ ცხოვრებაა გადაშლილი, ჩვენ ვხედავთ ამ ცხოვრების შესაფერ გეგმებსაც. აქ მეცნიერული ანალიზი და გამუქებაა ძალთა-განწყობილების.

ვისაც სურს ამ ორომტრიალში გამოარკვიოს თავის სამშობლოს ბედი—ის ჯერ ამ მდგომარეობას უნდა გაეცნოს და ერს მხოლოდ შემდეგ დაუსახოს ეროვნული და ინტერნაციონალური ორიენტაცია. ეხლა ჩვენ უნდა შევეკითხოთ მკითხველ ხალხს და ჩვენს თავს: წარმოგვიდგინა კი ნ. ჟორდანიამ ცხოვრების ეს სინამდვილე მთელ თავის სიტიტვლით და მოგვცა მეცნიერული პასუხი საქართველოს ორიენტაციისა? აქ მხოლოდ ერთი პასუხი შეუძლია მოგვცეს ყოველმა დაფიქრებულმა მკითხველმა: ჟორდანიამ არც ცხოვრება განიხილა და არც პასუხი მოგვცა საქართველოს ორიენტაციის. მთელი მისი მსჯელობა ღარიბ ინტუიციის მკლე დასკვნა იყო რომანტიზმით გაჟღენთილი; ამით ჟორდანიამ მსმენელი მოხიბლა, მაგრამ საქართველოს საბედისწერო გზა კი ყალბად დასახა.

საკითხავია: ასეთ პირობებში რანაირი უნდა იყოს საქართველოს გზა?

თედო ღლონტი.

## სიმართლის და ლოღიკის სალტო-მორტალე.

ჩვენი სამშობლოს გაჭირვება უსაზღვროა. ვის არ დააღონებს თანამედროვე რუსეთის მაგალითი? ვინ იფიქრებდა, რომ პეტროგრადის „კომუნარები" ასე მალე მოიხრიდნენ ქედს იმ იმპერიალისტების წინაშე, რომლებმაც 1871 წელს კისერი მოუგრიხეს პარიზის კომუნარებს?

რუსეთის დაღუპვა მარტო სამშობლოს დაღუპვა როდია, ეს რევოლიუციის დასამარებაცაა, კრიტიკული ეპიზოდია საერთაშორისო რევოლიუციისა, ჩაქოლვაა რევოლიუციის მესვეურებისაც, რომელნიც შეიძლება უსამართლოდაც—ცუდ პოლიტიკოსებად იქმნენ დასახულნი და ამნაირად მოწყვეტილნი ცხოვრების მესვეურობას.

ჩვენს წინაშე დღეს ანალოგიური სურათი იშლება. ბრესტ-ლიტოვსკის კომედიის სილუეტი წინ გვიდგას შავი ზღვის ერთ ნავთსადგურის მხრივ, ხოლო პეტროგრადის აგონიას მწარედ მოგვაგონებს გენერალ ანდრონიკის ცნობები.

ვინც გულუბრყვილო არ არის მისთვის აშკარაა, რომ სამშობლოს ასეთი განსაცდელი შეუძლებელია მიეწეროს რომელიმე პარტიას, მაგრამ ხალხის თვალი სწორედ გულუბრყვილობით არის აღსავსე და სამშობლოს უბედურებას უეჭველად მიაწერს იმ პარტიას, რომელიც სამშობლოს ბედ-იღბალს განაგებს. ჩვენ ვიცით, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ამ სინამდვილეს დიდ ყურადღებას აქცევს, ის კარგად ხედავს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას და ეხლავე ნიადაგს ამზადებს, რომ ხალხის გულში როგორმე ჩასჭედოს, რომ სამშობლოს განსაცდელში მთავრობა—პარტიას წილი არ აქვს, რომ იგი პარტია მეცნიერულ სისწორით სჭრეტს ყოველ საკითხს, რომ იგი ერთად ერთი „საერო" („ერთობის" გამოთქმით) პარტიაა, რომელიც ამავე დროს „ზესთაბუნებრივი ენერგიით" არის აღჭურვილი.

ყოველ გაზეთს შეუძლია თავის თავზე რაცა სურს ილაპარაკოს, „ყვავს ხომ თავისი ბარტყი ურჩევნია" ყოველ განძეულს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ წმინდა პარტიულ მიზნების გასაკეთებლად გაზეთისათვის საჭირო ყოფილა სოციალისტ ფედერალისტთა პარტიას განიავება და ღმერთმა იცის ამისათვის რა ფანდებს არ მიმართავს.

ბუზები მწარედ იკბინებიან ჩაზამთრებისას, მაგრამ ნუ თუ ბუზების ამ მაგალითს გონიერმა ადამიანებმაც უნდა მიჰბაძონ?

„ერთობა" გაცოფებულ წერილებს სწერს ჩვენს წინააღმდეგ და სამშობლოს უბედურებას რამდენადმე ჩვენს არსებობაშიაც ხედავს. მაგრამ ვინ არიცის, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოქმედება დღესაც მომწყვდეულია ვიწრო კალაპოტში და ყველაფერი რაც კეთდება, კარგია თუ ცუდი ეკუთვნის „ზესთაბუნებრივ ენერგიის" პარტიას—სოციალ-დემოკრატიას.

„ერთობა" გვეუბნება, რომ სოციალ-დემოკრატიას უნდა მიეწის საკითხის გადაჭრა, ერთა შორის ძმობის აღდგენა და სხვა და სხვა. გვიპასუხეთ მოქალაქენო: ვინ გყავდათ ხელის შემშლელნი და რად არ განახორციელეთ თქვენთვის სასურველი რეფორმა? „ერთობა" ფიქრობს, რომ ყველაფერს გააკეთებს სეიმი, მაგრამ განა წინანდელი კომისარიატი სოციალ-დემოკრატიული არ იყო? რად ვერ გააკეთა თქვენმა კომისარიატმა რომელიმე საქმე? ამის პასუხს „ერთობა" ვერ მოგვცემს, მაგრამ თქვენ მაგიერ აი რა არის ჩვენი პასუხი: სოციალ-დემოკრატიაზე ჩვენ უფრო უკეთესი შეხედულებისა ვართ, ვიდრე თვით „ერთობელები" არიან და სოციალ-დემოკრატიის მარცხს ვხსნით არა დასელების პირადის უვარგისობით, არამედ იმ ეროვნულ ლომბალის გამო, რომლითაც არაფერის გაკეთებაც არ შეიძლება რამდენიც არ უნდა ვიკვნიოთ სეიმის და ცენტრის სიდიადე.

ეროვნული საკითხი არ გადაიჭრა და ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ ვერ განახორციელა ვერც ერთი დანაპირები, ჩვენ ხაზგასმით ვიმეორებთ: **თუ გსურთ სამშობლოს და დემოკრატიის ინტერესების დაცვა უნდა ჯერ ეროვნული საკითხი გადასჭრათ.**

ჩვენი ეროვნული პროგრამა ნათელია და აშკარა, თავის დროზე ავტონომიის ფედერაციის განხორციელება გამოიწვევდა ჩვენი ერის ყოველ ძალის გაძლიერებას, სამშობლოს კეთილდღეობა განმტკიცდებოდა და რეფორმებსაც გადავჭრიდით სოციალისტურ პოლიტიკის თვალსაზრისით.

მაგრამ დახეთ საკვირველებას: თურმე ჩვენი პოლიტიკა—„შუღლი ძმათა შორის, ამხედრება თათრის სომხის წინააღმდეგ, სომეხის ქართველის წინააღმდეგ, კიდევ იქვე კი იმავე გაზეთში სულ წინააღმდეგი სწერია „სომხის ნაციონალისტები, თათრის ბეგები და ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები. „ერთობის" ლოღიკა ალბად ყველაფერს ინელებს, თორემ თუ ჩვენ ვეძებთ თათრის, სომხის და ქართველის ინტერესს საიდანღა უერთდებით იმავ თათარს, სომეხს, ქართველს?

იგივე „ერთობა" იცავს სეიმს და იმავე წერილში აი რასა სწერს გაზეთი: **„სომხის და თათრის ნაციონალისტების ორპირობა** არავისათვის არ იყო დაფარული იმ დროს, როცა სიტყვით ვითომდა დემოკრატიულ ფრონტის მთლიანობაზე ლაპარაკობდნენ, საქმით მათი ეროვნული საბჭოები ძმათა შორის მტრობას ქადაგებდნენ"-ო. ვინ არიან ამ საბჭოში? **უმთავრესად** მუსავატის და დაშნაკცუტიუნის ხალხი, ესე იგი დღევანდელ სეიმის ორი მესამედი და პირდაპირ გასაოცარია თუ სეიმის ორი მესამედი დღეს ასეთ ორპირებისაგან შესდგება—რაღად იცავს „ერთობა" „ორპირთა" სეიმს?—ასეთ ლოღიკის შემდეგ ნუ თუ არ გაწითლდება „ერთობა"?

„ერთობის" მთელი ნომერი ამიერკავკასიის მთლიანობაზეა დამყარებული. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ **სოციალ-დემოკრატიული მთლიანობა** თვით ამიერკავკასიის საქმეს დაღუპავს, აქ საქმეს გამოაბრუნებს მხოლოდ და მხოლოდ **ფედერატიული მთლიანობა**. ვიდრე ამ პრინციპს არ მივიღებთ ჩვენ ამიერკავკასიის მთლიანობას ვერ ვეღირსებით. მთელი წელიწადია სოციალ-დემოკრატია ამიერკავკასიის მთლიანობას ლაღადებს, იგივე პარტიაა მთელ მთავრობის და ყოველ დაწესებულების სათავეში და გვითხრან: სადღა არის მათი ერთობა? მაშინ, როდესაც სომხების ჯარი ენარცხებოდა არზრუმის კედლებს, როდესაც საქართველოს ჯარი სდგას ბათომის რაიონში. სად არის თათრების ჯარი, თათრის დემოკრატია რად არ აგზავნის დამხმარე რაზმებს სოციალ-დემოკრატების წყალობით? ამის პასუხს „ერთობა" ვერ მოგვცემს.

გაზ. „ერთობა" ნიანგის ცრემლებს ღვრის ეკონომიურ და ფინანსიურ ძალებზე. ჩვენ არ ვიცით თუ ვინ სხედან რედაქციაში, რომ საბავშვო წერილებით ართობენ მკითხველებს, მაგრამ ვკითხულობთ გაზეთს: ნუ თუ მას სერიოზულად გონია, რომ სოციალ-დემოკრატიული ცენტრალიზმია მხოლოდ ერთად ერთი პირობა ეკონომიურ და ფინანსიურ ერთობის? მაშინ ჩვენ ვეკითხებით გაზეთს: ფედერატიულ შვეიცარიაში არის თუ არა ეკონომიურ-ფინანსიური და ეროვნული ერთობა? არის თუ არა ერთობა გერმანიაში, ამერიკაში? თუ გაზეთს მართლა სურს საკითხების განხილვა გვიპასუხოს ამ კითხვებზე პირდაპირ და გადაჭრით.

ეხლა ამით ვათავებთ. რა გვინდა? ამიერკავკასიის კავშირი, ეროვნებათა თავისუფალი კავშირი, ძმობა და არა უპიროვნო, უსახო ერთობა, არა კეკემალურობა, არამედ აშკარა ინტერესების შესწავლა და მათი შერიგება. აი ამ გზით უნდა გავმთლიანდეთ, შევერთდეთ და საერთოდ დავიცვათ საერთო ინტერესები. ამას ვლაპარაკობთ ოცი წელიწადია და ნუ თუ დღესაც ვერ შეიგნეს ეს სოციალ-დემოკრატებმა?

## სომხური პრესა

არზრუმის აღების გამო „ჰორიზონი" სწერს:

„არზრუმი მტერმა აიღო. ოსმალეთის მრავალ-რიცხოვანმა ჯარმა დაიკავა კავკასიის ფრონტის პირველ-ხარისხოვანი ციხე—სიმაგრე და ჰასანკალესაკენ გაგვრეკა ჩვენი. არზრუმის აღება ჩვენთვის უძათუდ ერთვის სტრატეგიულ მდგომარეობის დაამყარებს, რომელიც გამოიწვევს ჩვენი ჯარის დახევას დანარჩენ მიმართულებითაც და ამ რიგად კავკასიის ფრონტი ვანიდან შავ ზღვამდე საგრძნობ ცვლილებას მიიღებს.

„ჩვენ არ ვმალავთ. არზრუმის აღება ჩვენთვის საშინელი დამარცხებაა, ხოლო ოსმალეთისათვის მოულოდნელი გამარჯვება. იმას გარდა, რომ ხელიდან გვეცლება მიუვალი ციხე სიმაგრე, ჩვენ ვკარგავთ უამრავ იარაღს, სურსათს საციხო არტილერიას და მრავალ მასალას, რომელიც ომის წარმოებისათვის არის საჭირო. უფრო საგრძნობია ის, რომ ზნეობრივად და სულიერად ვეცემით მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მაგრდება და მაღლდება სულით. არზრუმის აღება მტკიცე იარაღი იქნება ოსმალთა ხელში, რომელთაც ისინი აიძულებენ ჩვენს დელეგაციას ტრაპიზონში მიიღოს ბრესტლიტოვსკში შეკრული სამარცხვინო ზავი.

„ეს ყველაფერი მართალია და ეს დამარცხებაც სამძიმოა ჩვენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული. სამხედრო სტრატეგები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია არა თუ ამიერ-კავკასიის საზღვრების დაცვა, არამედ არზრუმის დაბრუნებაც, თუ დროზე გადაგზავნით ჯარს ფრონტზე. ოსმალთა ნაყოფიერი წინსვლა აიხსნება ჩვენი დაცუენებით, რომელიც ისინი ადგილობრივ მუსულმან მცხოვრებლებზე ამყარებენ. ცხადი არ არის, რომ ვეხიბ-ფაშას რამდენიმე ბატალიონს არზრუმის ასკერებიც შეუერთდებიან, რომელნიც იქ „მშვიდობიან მცხოვრებთა" სახით დარჩნენ. მაგრამ მათ მხრივ ჩვენ საფრთხე არ მოგველის, თუ ჩვენ დაუპირისპირებთ მათ ძალას, რაც ჯერ-ჯერობით კიდევ შესაძლებელია.

„არის ისეთი ისტორიული მოვლენები, რომელნიც აღვიძებს ინერტიულ მასას და იწვევს მას გმირულ მოქმედებისაკენ. ამ თვალსაზრისით არზრუმის აღება ჩვენი ერისათვის სასოწარკვეთილების წყაროდ კი არ იქნება, არამედ თვით მოქმედებისა და გამოღვიძებისა, ამიერკავკასიის ერებმა და, განსაკუთრებით სომხის ერმა, უნდა შეიგნონ, რომ ინდეფერენტიზმი აუცილებლად მიიყვანს მათ დაღუპვის კარამდე და მოსპობს მათ. მათ უნდა შეიგნონ, რომ არზრუმის აღებით ოსმალები კიდევ ერთ ნაბიჯს დგამენ ჩვენსკენ და ის საფრთხე, რომელიც გვემუქრება, კიდევ მეტად საგრძნობი უნდა გახდეს ჩვენთვის. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ერთად-ერთი გზა თავდაცვაა, რომლის გარეშე არ არსებობს ჩვენი ხსნა. და ჩვენ, როგორც ეს სეიმში განაცხადა ქართველი დემოკრატიის ბელადმა ნ. ჟორდანიამ, დაგვრჩენია მხოლოდ ან თავისუფალი სიცოცხლე ან საპატიო სიკვდილი: ხოლო არას შემთხვევაში არ დავემორჩილებით ოსმალეთის სამარცხვინო უღელს.

„არზრუმის აღება ჩვენ ერთს გვავალებს: ბოლო მოუღოთ სიტყვებს, დავას და შევუდგეთ საქმეს. უმთავრესი და ერთად-ერთი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ დღეს, ეს თავდაცვის ორგანიზაციაა. ამიერკავკასიამ უნდა წარმოგვიდგინოს ერთი ნება და ერთი სურვილი. ყველა რევოლიუციონურმა და ეროვნულმა ორგანიზაციამ მიზნად უნდა დაისახოს—თავისუფლების და სამშობლოს დაცვა.

„თუ ახლაც ვერ შევიგნეთ არსებული მდგომარეობის სიმწვავე და განვაგრძეთ ინერტობა. ჩვენ ღირსი ვყოფილვართ დაღუპვისა".

## ბათომის გარშემო

ბათომს გაემგზავრა ქართული კორპუსის კომანდირი გენ.-ლეიტენანტი ვ. გაბაშვილი და ნოე ჟორდანია.

—

ბათომის გაზეთში „თავისუფლების დღე" დაბეჭდილია ევ. გეგეჭკორის დეპეშა,—რომელიც მან ქუთაისის კომისარს გაუგზავნა:

„რადგან ოსმალეთის სამხედრო სამართველომ წინადადება მოგვცა გავწმინდოთ ბათომი, ყარსი და არტაანი. გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოაცხადოთ მთელ გუბერნიაში, რომ ყოველი ღონე იღონონ და წესიერად განახორციელონ საყოველთაო მობილიზაცია. მოამზადონ საომარი მასალა და სურსათი ბათომის და მისი ოლქის დასაცავად. ფულს გიგზავნით.

—

ბათომის ქალაქის თავი დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს:

„აღმაშფოთებელი ამბავი მოგვივიდა. ოსმალეთის ჯარი ბათომის წინააღმდეგ მოდის, გამოგზავნეთ რეგულიარული ჯარი. დაყოვნება საქმეს დაღუპავს".

—

ბათომიდან დეპეშით იტყობინებიან:

„ოსმალებმა ბათომის ოლქში შეტევა დაიწყეს, მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტი ქუთათელაძე წინადადებას აძლევს გურულებს თავის თავზე აიღონ ქობულეთ-ლანჩხუთის რკ. გზის რაიონის დაცვა. ბრძანება მოვიდა მე-4 ქართული პოლკის სახელზე რომელიც ჯერ საბოლოოდ არ შემდგარა. პოლკის კომანდირი ქარცივაძე ჯერ კიდევ ტფილისშია. თითქმის სულ აღარ არის ფული, პური და იარაღი, არც ორგანიზატორი გვყავს. გურულებში დიდი აღფრთოვანებაა. მათ დიდი სურვილი აქვსთ თავის თავი დაიცვან.

—

აჭარლებისა და ჯარის ურთიერთ განწყობილების შესახებ ბათომიდან დეპეშით იტყობინებიან:

„ბათომის ოლქში ძალიან გამწვავებულია ურთიერთობა აჭარლებსა და ამ ოლქში მყოფ ჯარს შორის. მოკლე ხანებში დიდი ძმათა შორის სისხლის ღვრას უნდა მოველოდეთ. აჭარაში ახალციხიდან შეიარაღებული რაზმები მოვიდა. რაზმები მოდის აგრეთვე შავშეთიდან. ქედაში რამოდენიმე ათასი აჭარელი და ახალციხელი შეგროვდა და მოითხოვენ ჯარის გაყვანას აჭარის-წყლის რაიონიდან. აუცილებლად საჭიროა სასწრაფო ზომები იქმნას მიღებული სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელთ არავითარი ძალა და საშუალება არა აქვსთ მოაგვარონ კონფლიქტი.

## ომი თუ ზავი

### ნარვას აღება.

ნარვა, რომელიც პეტროგრადიდან 40 ვერსის მანძილზეა, გერმანელებმა 15 თებერვალს აიღეს.

### უცხოეთის ელჩები.

პეტროგრადის აღების რამდენიმე დღის წინათ. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩები ჰელსინგფორსში წავიდნენ, საიდანაც, ალბად, შვეციაში გადავლენ. იაპონიის, ამერიკის და სიამის ვლადივასტოკში გაემგზავრნენ.

### გერმანელების შემოტევა და ბოლშევიკები.

გერმანელების შემოტევის გამო ბოლშევიკებში დიდი განხეთქილებაა. ნაწილი ბოლშევიკებისა პარტიზანული ომის წარმოებას მოითხოვს. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი კომისარი სეპარატიულად მოქმედობს და თავისებურად უშვებს მოწოდებებს.

—

პეტროგრადის აღებამდე ბოლშევიკებს იმედი ჰქონდათ, რომ თავისი ძალებით შეაჩერებდნენ გერმანელების წინსვლას პეტროგრადისაკენ და ამის გამო მათ გადასწყვიტეს ნარვას ხიზის დაცვა. პირველ რიგში განზრახული იყო ნარვის დიდი ხიდის აფეთქება. ამისთვის იქ გაიგზავნა წითელი რაზმელები და ინსტრუქტორები, მაგრამ ცალიერი აღმოჩნდა ის საწყობი, რომელშიც ასაფეთქებელი მასალები იყო შენახული (ნარვასთან). ფიდაც წინ და წინ გასჯილა და იქ დაგროვილი მასალები დატაცნია.

—

პეტროგრადის დაცლის წინ დღეს სახალხო კომისართა საბჭომ შემდეგ განკარგულებით მიმართა მუშათა საბჭოებს: „გერმანელებს, როგორც სჩანს, განზრახული აქვთ რაც შეიძლება ღრმად შეიჭრან რუსეთში, რომ თავითო სუფლად უკარნახონ მას თავისი პირობები. გიბრძანებთ არაფერი დასთმოთ უბრძოლველად, უკანასკნელ წუთამდე იბრძოლოთ და რაც შეიძლება მეტ მანძილზე დაახვედროთ მტერს დასავლეთით. ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ გერმანელები მცირე რაზმებით იბრძვიან და მათი გადევნა სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ ჩვენის მხრით ცოტა ოდენი ენერგია იქნება დახარჯული.

### გერმანელები პეტროგრადში.

ხმებია, რომ გერმანელებმა პეტროგრადში განკარგულება გასცეს, რათა განეთავისუფლონ საპატიმროები და ბოლშევიკების მიერ დატუსაღებული პოლიტიკური მოღვაწეები. მათ რიცხვში ყველა მინისტრი კერენსკის, ბურცევის და სხვათა მთავრობის.

### ბალტიის ფლოტი.

ბალტიის ფლოტი პასიურად შეხვდა პეტროგრადის დაცვას.

## საქარ. ეროვნული საბჭო

ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი **ახალქალაქის მაზრის** კომისარს ავალებს, რომ ქალაქში და მაზრაში გაიმართოს კრებები, რათა აუხსნან ხალხს გამწვავებული მდგომარეობა სამშობლოსი. მოუწოდონ მოხალისეებად შევიდნენ ჯარში სამშობლოს და რევოლიუციის დასაცავად, შეადგინონ მოხალისეების სია და გაგზავნონ ისინი ბათომში, ამას გარდა დაუყონებლივ განახორციელონ ჯარში გაწვევა 19-25 წლიანების.

**ჯარში გაწვევა.** კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი დეპეშით ცნობებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ თანახმად ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტებისა 29 იანვრიდან 1918 წლ. ყველა ამიერკავკასიის კვიდრი, ვისაც 1918 წლის 1 იანვრისთვის 25 წელი შეუსრულდა და უფრო ახალგაზრდები გაწვეულ იქმნან ჯარში აგრეთვე ისინიც, რომელნიც დროებით განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო. მხოლოდ ისინი, რომელთა წლოვანება აღნიშნულს აღემატება გაანთავისუფლონ.

## ახალი ამბავი

◆ **ყაჩაღების დახვრეტა.**

**ამიერ-კავკასიის კომისარიატი იტყობინება, რომ 2 მარტს ღამით სარევოლიუციო ტრიბუნალმა მიუსაჯა დახვრეტა 11 ყაჩაღს, რომელნიც უკანასკნელ დროს ძარცვავდნენ სხვა და სხვა დაწესებულებას ტფილისში და განსაკუთრებით ჰკლავდნენ მილიციონერებს. ყაჩაღთა შორის იყო გენერალ კორნაუხოვის მკვლელი. ყაჩაღები კიდევაც დახვრიტეს გუშინ დილით.**

◆ **ბათომი.** ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსმა 2 მარტს ამიერკავკასიის კომისარიატს დეპეშა გამოუგზავნა: „სამხედრო მიმოსვლის უფროსის წინადადების თანახმად, გთხოვთ შესწყვიტოთ ბილეთების გაყიდვა ბათომში მიმავალ მგზავრებისთვის. არა მარტო კერძო პირებს, არამედ სამხედრო მოსამსახურეებსაც არ ექნებათ ნება ბათომში წასვლისა. ნებართვის აღება შეიძლება მიხეილის სახელობის ციხის კომენდანტისაგან".

◆ **ევლახიდან** კავკასიის ყაზახთა მე-4 დივიზიის უფროსი გენერალი კოსტიუკოვი 2 მარტს დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ ყაზახთა ოთხ ეშელონს მშვიდობიანად გაუვლია ევლახიდან აქსტაფამდე.

◆ **განჯა.** ქალაქ ბაქოს უფროსი 2 მარტს დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: ამ საღამოს განჯაში გაემგზავრება დელეგაცია, უწესოების მოსასპობად და მშვიდობიანობის დასამყარებლად განჯის გუბერნიაში. კომისიაში შედის 10 კაცი. სასურველია [illegible] გაიგზავნოს [illegible].

◆ **ქართული კლუბი.** სამხედრო კავშირის განყოფილება საგარეჯოში საზოგადოება „ამირანი", ხუთშაბათს 6 მარტს მართავს ვოკალურ-მუსიკალურ საღამოს ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

◆ დღეს, 4 მარტს დილის ათ საათზე ლორის-მელიქოვის ქუჩ. ძველ სემინარიის შენობაში დანიშნულია ტფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრება. კავშირის გამგეობა სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ კრებას.

◆ დღეს, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბში რკინის გზებზე ქართველ მოსამსახურეთა საბჭოს წევრთა კრებაა დანიშნული. საბჭოს წევრებს უმორჩილესადა ვთხოვთ უსათუოდ დაესწრნენ.

◆ **თავდასხმა.** კოჩუბეის ქუჩაზე, № 10 ილია აბაშიძის ბინას დღეს რამოდენიმე შეიარაღებული კაცი. სახლში იყო ილ. აბაშიძის ცოლი, მას უთხრეს, რომ მიეცა მათთვის რევოლვერი მაუზერის სისტემის, რომელსაც ატარებს ილ. აბაშიძე. რევოლვერი სახლში არ იყო, მოითხოვეს ფული. წაიღეს 35 ათასი მანეთი, რომელიც იქ იპოვეს. დიდი ძებნის შემდეგ.

◆ **ბონები.** ამიერ-კავკასიის კომისარიატის კრებაზე სავალე ხაზინის გამგის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტეს, რომ შედგენილ იქმნას ერთგვარი კომისია, რომელსაც დაევალება ბონების განხილვა და ნებართვა ბონების ღირებულ ფასის გადახდისათვის. კომისია, შეუდგება მუშაობას 5 მაისიდან, ტფილისის ხაზინაში.

◆ **შემოწირულება.** ამას წინად გარდაცვალებულმა მიხეილ სვიმონის ძე ზედგინიძემ უანდერძა: ქ.-შ.-წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 1000 მან., „განათლების" საზოგადოებას 1000 მან. ეთნოგრაფიულ საზოგადოებას 200 მან. ქ. ახალციხის „რაბათის" ქალთა სკოლას 500 მან. სოფ. ზედველის (ახალც. მაზრ.) სკოლას 100 მან. იმავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიას 100 მან. და ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიას 100 მან.

◆ **ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ.** ქ[…] უნივერსიტეტის სტუდენტთა […] გამგეობა ამით აცხადებს, რო[…] დენტთა საერთო საცხოვრებ[…] (общежитие) მოთავსებულია […] რო სასწავლებლის ქვედა […] ჩერქეზიშვილის ქ. სახლი […]

◆ ორშაბათს, 5 მარ[…] 5 საათ. „ჯეჯილის" რედ[…] ნიშნულია საბავშვო ლ[…] კომისიის კრება. ეროვნ[…] განათლების სექცია სთხ[…] წევრებს უსათუოდ დაე[…]

◆ გაზ. „ჯარისკაცის […] ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა […] ლად ნათარგმნ „ქვეითა ჯარის (…სან) წყობილების წესდებისა".

◆ ჟურნალი პრომეთე რედაქცია გვთხოვს შემდეგი გამოვაცხადოთ: ჟურნალი პრომეთე გასავრცელებლად გადაეცა „განათლების" სააგენტოს ამიერიდან ვისაც ხელზე ყიდვა ჰსურს, უნდა მიმართოს „განათლების" კონტორას (ოლღას ქუჩაზე) და მისს აგენტებს საქართველოს ყველა პროვინციებში.

ხოლო ხელის მოწერა კვლავ მიიღება სახალხო საქმის კონტორაში და იმ პროვინციულ აგენტებთან, რომელნიც აქამდის გაზეთებში გამოცხადებული იყვნენ.

### შეცდომის გასწორება.

ამხ: თედო ღლონტის გუშინდელ წერილში „სამხრეთის მიმართულება" მაროკოს ნაცვლად უნდა იყოს მონაკო.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველო უკვე გაიხსნა; ღიაა ყოველ დღე: დილის 9 საათიდან პირველ საათამდე და საღამოს 4 დან 7-ამდე. ბინა; პარტიული კლუბის ზემო განყოფილება. წიგნების წაღება და გამოცვლა ხუთშაბათსა და კვირა-საღამოობით შეიძლება.

—

დღეს 4 მარტს ნაშუადღევს 4 საათზე სამკითხველოს ბინაზე დანიშნულია კრება. ახალგაზრდა სოც.-ფედე-

რალისტებს, რომელთაც სამკითხველო და ჟურნალის ტექნიკურა საქმე აინტერესებთ ვთხოვთ ამ კრებას აუცილებლად დაესწრონ.

—

**ხიდნადი.** 26 თებერვალს სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში შოხდა საქ. სოც. ფედ. სიღნაღის მაზრის ორგანიზაციის პარტიის წევრთა კრება; კრებას ბევრი ამხანაგები დაესწრენ და განიხილეს საკითხები: მომენტი და ტაქტიკა, ადგილებიდან მოხსენებები მიწის საკითხის მდგომარეობა მაზრაში, საკითხი სასამართლოსა და ერობის შემოღების შესახებ და საორგანიზაციო საკითხი. ყველა მთავარ საკითხებზედ მოახსენეს კრებას მაზრის კომიტეტის წარმომადგენლებმა თავისი აზრი და კრებამაც გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუციები შეთანხმებული პარტიულ კონფერენციის რეზოლიუციებთან. ეროვნულ საკითხის შესახებ კრებამ საჭიროთ სცნო სეიმი ეხლავე შეუდგეს გადამიჯვნას და ეროვნულ ერთეულთა ჩამოყალიბებას რათა უმალ მოწვეულ იქნას საქ. დამფუძნებელი კრება. ადგილებიდან მოხსენებები მოწმობენ ჩვენი პარტიის ზრდას; გამოირკვა, რომ გლეხები მთელის ჯგუფებით მიდიან ადგილობრივ ორგანიზაციებში და თხოულობენ ჩაწერას. დიდ საჭიროებას წარმოადგენს მაზრაში პროპაგანდისტთა რიცხვის გამრავლება, რაკი ადგილობრივი ძალები ვერა სწვდებიან, კრებამ გადასწყვიტა ყველგან მოახდინოს პარტიის წევრთა რეგისტრაცია.

## სამშობლოვ ჩემო...

აი, მე ეხლა ზარბაზნებთან ვარ! ვებაასები კლიტე-ჩახმახებს, ისევე მკაცრებს და დაუნდობლებს, ვით ჩემი გული, მარტოობაში ქანც-გაწყვეტილი და ატეხილი რისხვად, ქარიშხლად!

გადავაქოთე მთელი ქვეყანა და ძიებანი ჭეშმარიტების ფუჭი გამოდგა. არარაფერი არ დამრჩენია ქვეყნად მის გარდა, რომ ზარბაზნები ველაპარაკო სოფლისა თავსა, ჩემთვის რომ იყო უცხო, სასტიკი!

იმ მსოფლიოში, მარტო რომ ვიყავ და აქამომდე ვერ ვნახე შვება, სადაც ვერ ვპოვე, რისთვისაც ვიყავ მოსული ქვეყნად, მე მქვს სამშობლო, რომელმაც შვილად არ მიცნო დღემდე, რომელსაც ვძღვდი გულმართლობისთვის, რომელმაც ჩემთვის ერთი კოცნაც კი, თუნდ ცივი კოცნა არ გაიმეტა... ჰო, და აი მე ამ სამშობლოსთვის გაჭირვების ჟამს თავსა ვდებ, ვწირავ ხალისიანად...

— სხვას რაღას მომთხოვ სამშობლოვ ჩემო!

მე სიყვარული მასაზრდოებდა! სამშობლოს გულში ვეძებდი ჩემს ღმერთს, ჩემს სილამაზეს და თანაგრძნობას, მაგრამ ვაგლახად და სავალალოდ ყოველი თითი სამშობლოს ხელის სასაფლაოსკენ გზას მიჩვენებდა. მე კი აი ამ სამშობლოსათვის ჟამსა მძიმესა თავს არა ვზოგავ და ჩემი ყრმობა ზვარაკად მიმაქვს მის სადღეგრძელოდ—

— სხვას რაღას მომთხოვ, სამშობლოვ ჩემო!

ჩემი ლექსები, ისე გიჟივით და გატაცებით რო მიყვარდა მე, რომელთაც ერთგულ სატრფოს ვეძახდი და რომელნიცა არასოდეს არ მიღალატებდნენ, სტოლზე დავტოვე მე უპატრონოდ, რომელთაც სქელი მტვერი დაჰფარავს და ვინ უწყის, შემდეგ მოსამსახურემ ცოცხს გააყოლოს და არ იფიქროს, რო მეც იმავ დროს ბრძოლისა ველზე მტრის ტყვია ამგვის სამშობლოს შვებად, სადღეგრძელოდ და საკეთილდღეოდ—

— სხვა რაღა გინდა სამშობლოვ ჩემო!

მე სულ სიცოცხლეს ვნატრობდი დიდხანს და ღმერთსა ვვმობდი, რომ წუთისოფლის სტუმრებად გვშობა და თვით მილიონ წელს სიცოცხლესაც ვიცოტავებდი—ისე მიყვარდა, ისე მინდოდა მე ჯერ სიცოცხლე და დღეს კი თვით მე ჩემივე ხელით მიმაქვს ხალისით და ჩემ სიცოცხლეს ვდებ სამსხვერპლოზე—

— სხვას რაღას მომთხოვ სამშობლოვ ჩემო!

განა თუ მარტო მე მოველ აქა! თან მოვიყვანე სიყრმის მოძმენი, თანშეზრდილები, განუყოფელი ძმა-მეგობარნი ვასო, მიხაკო და ქრისტეფორე. მე მათ პირველმა უთხარი ლექსი, ლე[illegible], რომლითაც ალუძარ ჟინი რაინ[illegible]ბისა და ბრძოლის ცეცხლი ტყვედ [illegible] სამშობლოს დასახსნელადა და [illegible]ძეხ იმ სამსხვერპლოსკენ, შენ რომ ადგე ჩვენს წისაღებად—ყოველი წმინდა, რაც რამ შეგმდა შორის ხილულთა და სულიერთა, შენ შემოგწირე—

— სხვას რაღას მომთხოვ სამშობლოვ ჩემო!

იმ სასახლეში, სადაც მეფობდნენ ურწმუნო კაცნი, ნამუს-ამხდელნი, მტანჯველნი შენნი, რომელნიც ურცხვად იავარვქმნიდნენ შენი სახლიდან, ვით მონას ბეჩავს, ხასას მოწყენილს, იმ სასახლეში პირველ ყოველთა მე შევიტანე დროშა სამფერი, დროშა სამშობლოს თავისუფლების...

— სხვას რაღას მომთხოვ სამშობლოვ ჩემო!

ჰო, და აი მე ზარბაზნებთან ვარ ზღვად ატეხილი, ქარიშხლიანი, მათებრ სასტიკი, დაუნდობელი და ყველაფერის წამლეკი მტვრადა!

კალმის ტრად ვიხმარ ზარბაზნის მასრას, შიგ ჩავდებ რისხვას და ცეცხლის ხაზით მსოფლიოს თავზე დავწერ ჩემ სახელს საშვილი-შვილოდ; სამფეროვანსა ქართულსა დროშას მე მივუმატებ კიდევ ოთხ ფერსა: ერთს, ზარბაზნისა ცეცხლს რომ ფერი აქვს, მეორეს, ჩემ ხმალს შუქად რომ ახდის, მესამეს, რა ფერ ლექსიაც ყრმობას ვხატავდი ჩემსას და მეოთხესაც იმა ალის ფერს, რომელზეც უნდა დავიწვა მსხვერპლად და სამშობლოს თავს შვიდფეროვანი იმეფებს დროშა...

— სხვას რაღას მომთხოვ სამშობლოვ ჩემო!

ი. მჭედლიშვილი.

## სამაჰმადიანო საქართველო

### შავშეთ იმერხევი

(დასასრული *)

მისვლა-მოსვლა ძალიან გაძნელებულია, როგორც შავშეთ-იმერეთში ისე ამ კუთხიდან სხვა ადგილებში რუსეთის მპყრობელობის მუშაობა ორმოცი წლის განმავლობაში გამოიხატა მხოლოთ რამოდენიმე ათეული მოხელის, ხალხის წურბელის გაჩუქებაში, როგორც იქნა ამ ომიანობის მიერ გამოწვეულმა მიზეზებმა ცოტა თვალი აახელია. შავშეთ-იმერხევზე მიმავალი ერთად ერთი საცხენოსნო გზა იქნა შეკეთებული მაგრამ ნუვინ იფიქრებს, რომ მგზავრობა უზრუნველ ყოფილიყოს. ლამეკმგზავრობაზე, ხომ ლაპარაკიც მეტია: „დღე კი ბევრ ადგილას უნდა გადმოხტე ცხენიდან, წინ გაუძღვე რომ მდინარე იმერხევში არ გადაეშვე და მისი აქაფებული ზვირთების მსხვერპლი არ შეიქნე. უახლოესი გზა შავშეთ-იმერხევისა ბათომში მიმავალი მთა კორდაზე გადადის. იქიდან მერისი ქედა (აჭარაში) და ბათუმი. ცხენისთვის ეს გზა თითქმის შვიდი თვის განმავლობაში დაკეტილია თოვლის გამო ასეთივე ბედი სჩვევია ახალციხეში მიმავალ გზას, თუმც იქით მოძრაობა ადრე იწყება. რჩება ერთად ერთი გზა არდანუჩ ართვინ-ბათომი: „ამ გზით სიშორის გამო ნაკლებად სარგებლობენ.

აღებ-მიცემობა ამ მხარეში ზაფხულზე და შემოდგომის დამდეგს ხდება. შემოსავლის უმთავრეს წყაროდ აქ ითვლება ერბო: ამის გამო საქონლის მოშენებას მისდევენ. მეჯოგეობას ადგილი აღარ აქვს, ვინაიდან ამას ხელს არ უწყობს ადგილობრივი პირობები. საქონელისათვის საკვები ცოტა აქვთ საქონლის რიცხვთან შედარებით, ამისთვის მათი საქონელი გაზაფხულში ძალიან დასუსტებულია. ძროხა ზამთარში არც კი იწველის. ერბოს ამზადებენ ზაფხულობით მთაზე სადაც ზოგიერთები მთელი ოჯახობით ესახლება. ყველი ძალიან ცოტა კეთდება და ისიც დაბალი ხარისხის. იყიდება აქ კიდევ კაკალი. შინაურ ფრინველების მოშენებას არ მისდევენ. ხუთი ექვსი ქათამი რომ იყოს ოჯახში იშვიათია. ერთს სოფელში ბატი დავინახე იხვის ხსენებაც არ არის. ინდაური რომელსაც აქ „მისირის ქათამს“ ეტყვიან ერთს ბეგს ჰყავდა შავშეთში.

ჭირნახული რაც უნდა კარგი მოსავლიანი წელი იყოს არ ყოფნით. ცუდი მოსავლის დროს, რაც ძალიან ხშირია ამ ქვეყნად, ცხოვრება პირდაპირ საშინელია. ბათომში კიდეც რომ იყიდონ სურსათი ზამთარში აქ ჩამოტანაზე ოცნებაც მეტია. ზაფხულშიაც ფუთის აქ მოტანა ჯდება ორიდან სამ მანეთამდის. როგორც ზევით ვსთქვით დიდი სივიწროვე არის მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით სახნავ-სათესი ადგილებისა. სწორედ ამ უკანასკნელმა აიძულა ხალხი გამოსავალი ეძია და იპოვა კიდეც. ომამდის აქედან ბევრი ოჯახი ესახლებოდა ოსმალეთში რათა სიმშილით სიკვდილისთვის თავი დაეღწია. იმაზე აღარ ფიქრობდა თუ რა პირობებში მოუხდებოდა ოსმალეთში არსებობის პურის მოპოვება. ამ მიზეზით ბევრი წავიდა მოწყდა სამუდამოთ თავის საყვარელ სამშობლო საქართველოს და კოლონიების მსგავსი დაარსა ოსმალეთის სხვა და სხვა ნაწილებში. აქაურების სიტყვით ბევრს გადასახლებულს მოუყრია თავი ბრუსსას რაიონში, სამშობლოს მიტოვება აქაურებს ძალიან ეძნელებათ; მათ სამშობლო უყვართ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სწორეთ ამათზეა ზედგამოჭრილი პოეტის სიტყვები: „არ გაცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“ და სხვა.

მოსახლეობა ჯგუფ-ჯგუფათ იციან. სახლები ერთი მეორეზე არის მიდგმული, უგეგმოთ. სახლებს შუა ვიწრო ბნელი ქუჩის მსგავსი არის დატოვებული. სახლები ფიცრულია, ორსართულიანი. თითო სართულის სიმაღლე სამს ადლს უდრის. ქვედა სართულში საქონელი უბიათ, ზედა სართულში თვითონ ცხოვრობენ. მოწამლული ჰაერი ქვედა სართულიდან ადის ზევით და შიგ მდგომთ სიცოცხლის დღეს უმოკლებს. ფანჯრის გაკეთება ჩვეულებათ არ აქვთ. სინათლე სარკმლიდან შედის- საქონლის ნეხვი მთელი წლის განმავლობაში იქვე სახლის კარებთან გროვდება, საქონლის საბამიდან ნიჩბით გამოსროლილი. მდგომარეობა საერთოდ მეტად ანტისანიტარულია. ავადმყოფობა ხშირია განსაკუთრებით ქალთა შორის, უმეტეს შემთხვევაში იკუტებიან. ქალების მოვალეობას სხვა ოჯახურ საქმესთან ერთად შეადგენს საქონლის მოვლა ზამთარ-ზაფხულ. მამაკაცი ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქონელს. ქალებს მინდორშიც (ყანებში) ამუშავებენ. მათი მდგომარეობა უმწეოა, აუტანელი.

მთელ-შავშეთ-იმერხევში ამ ბოლო დრომდე სამინისტრო ერთკლასიანი ერთ კომპლექტიანი სკოლა არსებობდა. 1916 წლის ბოლო თვეებში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების მიერ იქმნა გახსნილი სკოლა იმერხევში. პირველ სკოლაში ე. ი. შავშეთისაში ქართულ ენას არ ასწავლიან. ფანატიზმს ღრმა ფესვები აქვს გადგმული ხალხის ფართო მასაში. ეს უკანასკნელი მიზეზი ე. ი. ფანატიზმი ხელს უშლის გარდა სარწმუნოებრივი სწავლის სხვა რაიმე განათლება მიიღონ. სჯულის სწავლება ხოჯების მიერ ხდება ზამთრის განმავლობაში სამი ან ოთხი თვე. დანარჩენ დროს ბავშვებს ამუშავებენ. აქ ბავშვთა შორის ექსპლოატაციას სიმწუხაროთ ფართო ხასიათი აქვს. გაზაფხულზე სკოლის შენობა ცარიელდება. საერთოდ ბავშვები სწავლას კარგად ითვისებენ. „კრეტინი“ მათ შორის იშვიათია. ვინ უწყის რამდენი შრომა არის საჭირო რომ მასსას სკოლა შეაყვარო „სწავლის სურვილი აღუძრა. ამისთვის ხანგრძლივი დრო არის საჭირო და იდეიური მომუშავენი, ეს მხარე ვერ შეედრება აჭარას რომლის მცხოვრები ტიპიური გურულია, რომელსაც ხშირათ უხდება ტრიალი ქრისტიან ქართველთა შორის, კარგად არის გაცნობილი მათ მისწრაფებაზე, მათთან მეზობლათ ცხოვრობს, ამის შემდეგ მგონი გასაკვირალი არ უნდა იქნეს, რომ აჭარელი ჩქარა დაეწაფოს განათლებას, ვიდრე შავშეთ-იმერხეველი.

ამ ომის დროს ქალაქთა კავშირის ბათუმის კომიტეტის მიერ გაიხსნა ს. სათლელში (შავშეთშია) საავადმყოფო. ამა წლის მარტის პირველ რიცხვებიდან იმერხევშიაც დაარსდა საფელშერო სამედიცინო პუნქტი. ათი საწოლით. მთელს ამ მხარეში საუკუნოების განმავლობაში ექიმობა შელოცვით და მკითხაობით სწარმოებდა. ეხლაც ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით ავადმყოფის პატრონს, რომელიც ხოჯასთან გარბის. ეს უკანასკნელი უწერს ქაღალდის ნახევზე რაღაცას, რას—ალლახმა უწყის. ამ ნაწერს „ნუსხა“ ეწოდება ნუსხას უკითხვენ ავადმყოფს და ამით მორჩება ლონე მიხდილი ადამიანი თუ არა, ამის განსჯა მკითხველთათვის მიგვინდვია. საავადმყოფოს სარგებლობა ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ. ექიმის დახმარებას ძალიან გაურბიან. იშვიათია რომ დახმარება სთხოვონ; თუ შელოცვამ და მაგათი ნალესი წამლებმა ვერ უშველა და ავადმყოფი სიკვდილის პირათ არის მისული, მაშინ ძალა-უნებურად უნდა მიმართონ. ხშირად ადგილობრივი მოხელეები ატყობინებენ სამედიცინო პუნქტში რომ ამა და ამ ადგილას ეს პირი არის მძიმე ავადმყოფი. მკურნალი მიეშურება დანიშნულ ადგილას. შინაურები ეუბნებიან ავადმყოფი ჰქვე გამრთელდაო! ეს იმ დროს როცა საბრალო სულთმობრძავი სადმე საქონლის საბამში სადმე ჰყავთ დამალული, რომ ექიმმა არ გასინჯოს და მისი საავადმყოფოში მოთავსება არ მოითხოვოს.

ხანმოკლე არსებობის შემდეგ სული განუტევა სათლელის მომხმარებელმა საზოგადოებამ. ინიციატივა, ამ ფრიად სიმპატიურ კულტურული საზოგადოების დაარსებაში, რომელიც დაუფასებელ სამსახურს უწევს მომხმარებელთ, ქართველ ინტელიგენციას ეკუთვნის. უდიდესი დანაშაული მის დასამარებაში მათვე მიუძღვით. ეს არ შეიძლება აქაურ ინტელიგენციას აქტივში ჩაეწეროს. მათმა მოქმედებამ დიდი ხნით დამარხა კოოპერატიული საქმე მთელს შავშეთ-იმერხევში, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ ხალხის ხსნა თვითვე ხალხშია. ასეთი კულტურული დაწესებულების არსებობა იმდენად ნაყოფიერია რამდენად მასსა დაინტერესებულია საქმის მსვლელობით, რამდენად მასსას შეძლება აქვს კრიტიკული თვალით შეხედოს ყოველივეს. საზოგადოება თვითვე უნდა აძლევდეს დირექტივებს ხელმძღვანელთ, და თვითვე უნდა ადევნებდეს თვალყურს მისი ნაკარნახევის შესრულებას, რომ საქმეს სასურველი მსვლელობა ექნეს ყოველივე ამას ჩვენ აქაური ხალხს ვერ მოვთხოვთ, რომელმაც თავის მოვალეობა მით მოიხადა რომ თერთმეტი მანეთი შეიტანა საპაიო და საწევრო ფული, და აკი ამისთვისაც საქმე სამწუხაროთ ჩაიშალა.

სოფელ ტბეთში (შავშეთშია) გამოიყურება თავ მომწონეთ, ვით დაჭრილი არწივი, ღირსშესანიშნავი თავისი არხიტექტურით ტაძარი. აკვირდები ამ დიდებულს ნაშთს ძველი ქრისტიანობისას და თვალწინ ნათლათ გეხატება თუ რა დონეზე მდგარა ხელოვნების ყოველი დარგი მაშინდელ საქართველოში მისი სიდიადე გვიმტკიცებს რომ ის არ შეადგენს რომელიმე სოფლის ან და თუ გინდ კუთხის კუთვნილებას. ეჭვს გარეშეა რომ მისი აგება საქართველოს მპყრობელს ეკუთვნის, რომელსაც არავითარი შრომა არ დაუზოგავს. რომ შენობა სამაგალითო, ერის საამაყო გამოსულიყო. მხატვრობა კედელზე საუკუნოების განმავლობაში, მიუხედავად იმისა რომ ტაძარი შიგ გამოუწვავთ, აქა იქ დარჩენილა, ამჩნევ მძლავრი ხელის მოსმას. კედელი სულ ჩუქურთმებით არის გამოყვანილი, შიგ ძევს, სადაც დიაკვნის დასადგომი უნდა იყოს, ვეებერთელა მარმარილოს ქვა. აღმოსავლეთის მხარე თავიდან ბოლომდის გაპობილა, მეხს დაუკრავს როცა მაჰმადიანები შიგ ლოცულობდნენ და მის შემდეგ სალოცავი სახლი „ჯამე“ სხვა აუგიათ. ეხლაც როცა დიდი გვალვა დგება, მუსულმანები აქ ილოცავენ. რის შემდეგ „წვიმაც მოვაო გეუბნებიან“. სახურავი ნახევრათ ჩამონგრეულა. თლილი ქვით არის დახურული, თუ ცემენტით ვეღარ არჩევ. ტაძრის გვერდით სკლეპის მსგავსი არის, უთუოდ მეფის გვარეულობისთვის. თვით ტაძარს ქვევიდანაც აქვს შემოსავალი მიწაში გამოთხრილი. კედელზე რამოდენიმე ადგილას ხუცური წარწერა არის.

შავშეთ იმერხევში მრავლად შეხვდები ციხე-კოშკს სახელდობრ: ს. იპხრეულში, ჯვარის ხევის თავზე, ჩიხის ხევში, სათლელში და სხ. ყველაზე უდიდესი ეს უკანასკნელი, სათლელის ციხეა, რომელიც რამოდენიმე ფორტიდან შესდგება. ბევრია, აგრეთვე მდინარეებზე ქვის ხიდები რომლებიც ისე უძრავათ დგანან თითქოს ახალი ანაგები იყონ. ზოგ მათგანისთვის მდინარეს უკვე გვერდი აუქცევია, ბევრი მათგანი კი ეხლაც დაუფასებელ სამსახურს უწევს მცხოვრები როგორც ციხე-კოშკების ისე ხიდების აგება-გაშენებას ხალხი თამარს და მის დროს მიაწერს.

ყოველივე როგორც შავშეთში ისე იმერხევში ამას გვიმტკიცებს რომ ეს კუთხე ერთ დროს საქართველოს ერის უმშვენიერეს ნაწილს შეადგენდა. ამ კუთხეში აღორძინდა და აყვავდა ქართული კულტურა. აქ სდუღდა ქართველთა ცხოვრება. აქ, ამ მხარეში იყო გაჩაღებული სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა ქართველ ერის შემოსეულ მტერთან. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა აქ ხალხი თავის სარწმუნოების, ეროვნების, კულტურის და ტერიტორიის შესანარჩუნებლად. ამ მხარეში მრავალ საუკუნების განმავლობაში ეომებოდა ქრისტიანობა ისლამს. დაუსრულებელმა ბრძოლამ ხან ერთ მტერთან ხან მეორესთან სხვა მიზეზებთან ერთად დააუძლურა ერი, ძალამ სძლია სამართლიანობას. ფეხქვეშ გათელა მისი უფლება. გამარჯვებულმა გაანადგურა ყოველივე რასაც ქართველის სახელი ერქვა, რასაც ქართული კულტურის ბეჭედი ესვა, რაც ძვირფას საუნჯედ მიაჩნია ქართველ ხალხს და რის გულისთვისაც ზვარაკად ეწირებოდა შემოსეულთ. დამმონავებელმა შეუცვალა დამონებულს სარწმუნოება, ეს წმიდათა წმიდა ხალხის ფსიხიკისა ენა. აქცია მეჩეთებად ეკლესიები და სხვა, მაგრამ ხალხს გულის სიღრმეში ვერ ჩასწვდა, ვეღარ აღმოფხვრა იმის გულის სიღრმიდან მისი ქართველობა, შეინახა ხალხმა, მრავალი ჩვეულება და ზოგ ადგილებშიაც ენა.

ვისაც კი უმოგზაურნია შავშეთ-იმერხევში და ზერელეთ მაინც გაცნობია ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებას, დაჰკვირვებია ნ ხულს, გაგონილს, ვინც სინათლის წინაშე განგებ არ ხუჭავს თვალებს, დაინახავდა რომ აქაურების არა ქართველობაში ეჭვის შეტანა ყოვლად უსაფუძლოა. შეამჩნევდა ვისაც მის სურვილი ჰქონდა და რომ აქაურ მაჰმადიანს სარწმუნოების გარდა ყოველივე საერთო აქვს თავის მოძმე ქრისტიან ქართველებთან, ამ ბოლო დროის ორი მოძმის ერთმანეთთან დაახლოვება ბუნებრივია და ამისთვისაც **სამართლიანობა მოითხოვს ეს კუთხე, შავშეთ-იმერხევი, მომავალ ავტონომიურ საქართველოს ტერიტორიის განუყრელ ნაწილს შეადგენდეს.**

ლევანი.

*) იხილე „სახალხო საქმე“ № 185.

## ეროვნულ საბჭოს სიღნაღის განყოფილება

ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის, რომ სიღნაღში რამოდენიმე ხანია დაარსდა საქართ. ეროვ. საბჭოს განყოფილება; განყოფილებაში მონაწილეობას იღებს ყველა სიღნაღში არსებული ქართული პოლიტიკური პარტია; თვითეულ პარტიას საბჭოში ჰყავს სამი წარმომადგენელი, მხოლოდ სოც.-დემოკრატებს ექვსი; სულ საბჭო შესდგება 15 კაცისაგან; იკრიბება ყოველ ორშაბათობით და ბინა აქვს სიღნაღის საურთიერთო ბანკის შენობაში; საბჭომ თავისი საქმიანობა პრაქტიკული ნაბიჯებით დაიწყო, და რადგანაც მისი დაარსება მოხდა იმ დროს, როცა თურქეთში აყარებულ და მილიონებად ღირებულ ქონების დატაცება დაიწყო, საბჭომაც თავისი ყურადღება ამ ქონების შენარჩუნებას მიაქცია და რამდენადმე მიზანსაც მიაღწია: შეაჩერა გაგზავნილი კომისიების საშუალებით გატაცება და ახლო მახლო სოფლებიდან არჩეულ და დაქირავებულ ყარაულების საშუალებით დღესაც შეძლების და გვარად იცავს დატოვებულ ქონებას და ზომებია მიღებული გატანილის შესაგროვებლად; ყველა ეს ს ხ ლდახელო ზომებია და ხსენებული ქონების მოსავლელად და გამოსაყენებლად საჭიროა ნამდვილი პატრონი საარტილერიო დივიზის შედგენით, რაც მოსახერხებელია ადგილობრივ საბჭოს დახმარებით ადგილობრივ მცხოვრებთაგან, თუ კი საქმისთვის საჭირო მცოდნე პირები დროზედ იქნება გაგზავნილი ტფილისიდან დაპირებისამებრ პირველ მარტს საგანგებო კრებაზე სიღნაღის ეროვ. საბჭომ მიიღო რა მხედველობაში დღევანდელი გართულებული მომენტის სიდიადე: გარეშე მტრის შემოსევა ოსმალების სახით და მაზრაში ანარქიის დასაწყისის ნიშნები, დაადგინა 2 მარტს, დილის თერთმეტ საათზე გაემართა ბჭობა საქმისათვის სასარგებლო პირთა თანადასწრებით არეულ მდგომარეობის შესახებ და მასთან საბრძოლველად ღონისძიებათა გამოსაძებნელად. ხსენებულ დღეს მართლაც გაიმართა კრება. კრებამ გასტანა ღამის 9 საათამდის და ნაყოფიერადაც ჩაიარა: აღიარა საჭიროება უმალ მობილიზაციის გამოცხადების თანახმად ტფილისის ეროვნულ საბჭოს დეპეშისა აგრეთვე საჭიროთ აღიარა მოხალისეთა ჩაწერა და ბათომისაკენ გამგზავრება. ყველა ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად და აგრეთვე ანარქიის ასალაგმავად კრებამ საჭიროდ სცნო ძლიერი ადმინისტრაციის შექმნა მაზრაში, ამ მოსაზრებით გადასწყდა მაზრის კომისარიატი შევსოს მესამე პირით,—თავისი მოქმედება ადგილობრივ სამაზრო საქმეებში შეუფარდოს და დაუქვემდებაროს სიღნაღის ეროვნულ საბჭოს, როგორც სიღ. ეროვნულ საბჭოთა გადაწყვეტილებას ისე ცენტრალურ ამიერ კავკასიის მთავრობის მოწყრილობათა სისრულეში მოსაყვანად საბჭომ კომისარიატს მიუჩინა მრჩევლები: ოთხი კაცი საბჭოდან—თითო თვით პარტიიდან. [illegible] ერთი სამაზრო [illegible] კომიტეტის [illegible] ქის წარმომადგენელი, შეთანხმებას მრჩეველთა შორის არჩევს სიღ. ეროვნული საბჭო. საბჭოს მიერ ეს მაზრის კომისარიატის ორგანიზაცია მიჩნეულია დროებით; გარდაქმნა მაზრის ადმინისტრაციისა კი ხდება ქვევიდან. ამ დღეებში გადაწყვეტილია ყველა პარტიის პროპაგანდისტების მიერ ეროვნულ საბჭოს სახელით პარტიის რაზმების თანადასწრებით (200 - 300 კაცია განზრახული) ჩამოიარონ სოფლები მაზრისა, აუხსნან ხალხს მომენტის მნიშვნელობა, მოუწოდონ ჩაეწერონ მოხალისეებად ბათომისაკენ გასამგზავრებლად, მისცენ წინადადება აირჩიონ სოფლისათვის საჭირო პირები კომისრად და ორიც მისი ამხანაგებად მიუხედავად მათი პარტიობისა; ამავე კრებას უნდა აარჩევინონ საპატიო პირები, რომელთაგანაც შემდეგში კოოპერატივის წარმომადგენელთან ერთად უნდა შესდგეს სამაზრო ყრილობა ეროვნულ საბჭოს (დღეს პარტიების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას) და აგრეთვე კომისარიატის წევრების ასარჩევად; მაზრა უნდა დაიყოს რაიონებად და სამხედრო კომისია რაზმელების თანადასწრებით მოახდენს მობილიზაციას 19 - 25 წლამდის; ვინც ბეგარას მოერიდება მიცემული იქნება სარევოლიუციო ტრიბუნალის სამსჯავროში; ხსენებულ 2 მარტის კრებაზევე არჩეულ იქნა საფინანსო კომისია, რომელმაც უნდა გააწეროს მაზრაზე გადასახადები და სხვა და სხვა საშუალებით შეაგროვოს ფული; არჩეულ იქნა აგრეთვე სახედრო შტაბი, გადასწყდა დაარსდეს სარევოლიუციო ტრიბუნალი და დაევალა მაზ. აღმასრულებელ კომიტეტს ოთხიოდ დღეში საბჭოს დადგენილებით მოახდინოს ერობის და სასამართლოს რეფორმების შესახებ. ასეთია საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ახლო მომავალში აუცილებლად სისრულეში იქნება მოყვანილი და რომელიც წამლად დაედება მაზრის მცხოვრებთ. ამის თავდებია, როგორც ეროვნულ საბჭოს წევრთა ენერგიული მუშაობა და ერთსულოვნება, ისე სიღნაღის მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობის აზრი პარტიების შეთანხმებული მოქმედების სარგებლობის შესახებ.

დამსწრე.

## წერილი ბაქოდან.

### საერთო ვითარება.

ბაქოს უცნაურობის ამბავი წინადაც არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს გაზეთში. ეს ქალაქი დღეს ბოლშევიკების სათარეშო-საბატონოდ არის გადაქცეული, მაგრამ აქ წესიერება და მშვიდობიანი მიმდინარეობა ცხოვრებისა ოდნავადაც არ დარღვეულა. ყველამ უწყის, რომ, სადაც კი ბოლშევიზმმა გაიმარჯვა, ყველგან უმალვე სამოქალაქო ომმა და ანარქიამ წამოჰყო თავი; ბაქოში ამგვარი რამ არ მომხდარა, თითქოს ეს უცნაურობაა ერთნაირად! ნამდვილად კი საქმე შემდეგში მდგომარეობს:

ჯერ ერთი, ბაქო მენშევიკურ ერთეულის—ამიერკავკასიის—განაპირა ქალაქია. მას ცენტრიდან—ტფილისიდან—მენშევიკური მთავრობა ვერ გადმოსწვდა მთელის თავის სიძლიერით და ამიტომ, რაკი ბოლშევიკების სიძლიერეს მენშევიკების მთავრობის მუშტი არ მოხვდა, სისხლის ღვრაც და ანარქიაც თავიდან აშორდა ბაქოს. მეორე კიდევ—აქაურ მუშათა და მეზღვაურთა დიდი უმრავლესობა რევოლიუციამდეც კი ბოლშევიზმს მისდევდა სრულიად შეგნებით და შეგნებული ბოლშევიზმი, და არა ბრბოული, ყოველთვის წინააღმდეგი იყო ანარქიის და სამოქალაქო ომისა. ეს ორი პირობა გარანტიაა აქაურ სიმშვიდე-სიწყნარისა, თორემ სხვა მხრივ არეულობა და სისხლის ღვრა ყველაზე უმალ ბაქოს უნდა მოვლენოდა. სომეხ-თათართა შორის შუღლსა და მტრობას ადრიდანვე ჰქონდა ადგილი აქ და ეხლა, როდესაც ორივე მხარე საკმარისად შეიარაღებულია, ცხადია, მოთმინების ფიალა უნდა ავსებოდათ, მით უფრო, რომ ათასნაირ პროვოკაციულ ხრიკებს სთესავენ ორივეს მხრივ... ბნელი ძალები დაირაზმენ და თავიანთ შავსა და ბნელ მუშაობას ეწევიან ამ ორ ეროვნებათა შორის ბრძოლის ჩამოსაგდებად, რათა ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა თავისუფლად შესძლონ და აგიზგიზებულ ცეცხლზე ხელები მოითბონ. მიუხე-

დავად ამისა ქალაქში მასიურ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა ხულიგანის მიერ გასროლილ ტყვიას და ქურდბაცაცების მიერ ჩადენილ ავაზაკობას. თქმა არ უნდა, რომ, როგორც სომხების, ისე თათრების გავლენიანი პირები ყოველგვარ საშუალებას ღონობენ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად; შესდგა სომეხ-თათართა ნაციონალური კომიტეტი, რომელმაც გააჩაღა სოლიდარული და თანხმობრივი მუშაობა ამ ორ ერთი-მეორეზე გადაკიდებულ ეროვნებათა შორის.

ბაქოში ბოლშევიკები იმ თავითვე თანდათანობის პოლიტიკას დაადგნენ. ჯერ ფლოტი ჩაიგდეს ხელში, შემდეგ მ. და ჯ. საბჭოში მოიკალათეს, სადაც თავმჯდომარედ არის ქართველი ჯაფარიძე („ალიოშა") და გავლენიან წევრად ყოფილი მასწავლებელი ბიქტორ ნანეიშვილი; ამას წინად კიდევ თავიანთი კომისრები ჩააყენეს სახელმწიფო ბანკში, ხაზინაში, სახაზინო პალატაში, რკინის გზის მილიციაში და სხვაგან. რადგან მენშევიკურ მთავრობის წარმომადგენლები ზემოხსენებული მოღვაწეობის საქმეში აქტიურ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ბოლშევიკებს, ამიტომ ყოველივე ეს მოხდა მშვიდობიანის გზით. ამგვარად ბაქოში ორი მთავრობაა. რეალური ძალა: ფლოტის, ჯარის და მუშათა დიდი უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზეა, ხოლო დაწესებულებები და თანამდებობის პირნი მენშევიკურ მთავრობას აღიარებენ, მაგრამ ბაქოს უცნაურობა ყოველივე ამას იტანს!

**შაუმიანის ოინები.**

თებერვლის 21-ს ბაქო-ბალაჯარას მოადგნენ იმ თერთმეტი ეშელონების ჯარისკაცები, რომელთაც გზა-და-გზა ველაფერი გაანადგურეს, მოსრეს და გადასწვეს. ჯარისკაცებს თათრებმა მოუკლეს და დაუჭრეს 40-მდე კაცი. მოკლულ-დაჭრილები თან წაიღეს და უნდოდათ იმათი რუსეთში დაკრძალვა, მაგრამ იმათ შორის მყოფმა, ტფილისიდან გამოქცეულმა, სტეფანე შაუმიანმა დაიყოლია და მოკლულები ბაქოში დაკრძალვინა. თვითონ შაუმიანი მიუძღოდა პროცესიას. მან „თავისუფლების მოედანზე" სიტყვა წარმოსთქვა და ჩვეულებრივად აგინებდა ყველა არა ბოლშევიკს. იმ დღეს ბაქოში ყველა დიდ შიშს განიცდიდა, განსაკუთრებით თათრებს დაეჭიმათ ძარღვები, ისინი მოელოდნენ მასიურ გამოსვლას მათ წინააღმდეგ ჯარისკაცების მხრივ, რომელთაც შესაძლებელი იყო სომხებიც შეერთებოდათ. მაგრამ პროცესია მშვიდობიანად ჩატარდა. საერთოდ სტეფანე შაუმიანი ყველგან ამღვრევს წყალს. ტფილისს გამოექცა და ეხლა ბაქოს სურს შეაფაროს თავი. ამ ძალაუფლების მაძიებელმა კაცმა ჯერჯერობით საფუძველი ვერსად დაიმკვიდრა. ყოველ შემთხვევაში, ბაქოში იგი ვერას გახდება, რადგან მისი თანამემამულეები ან დაშნაკელები არიან, ან ესერები, სხვა ეროვნების წარმომადგენელთ კი, თვით ბოლშევიკებსაც, იგი არ მოსწონთ და მის კომისარობას მხარს არ დაუჭერენ. მოკლულ ჯარისკაცების დამარხვის დემონსტრაცია, რომელიც შაუმიანის დაჟინებით მოხდა, წყალწაღებულის ნაპირისაკენ ხელისპოტინს უდრის! სურდა ჯარისკაცების გული მოეგო და ძალაუფლების შესანარჩუნებლად ბაქოში დაეტოვებია ისინი, მაგრამ ამ ოინებმა ვერ გასჭრა და ჯარისკაცებმა სამშობლოს მიაშურეს.

**გაუგებრობა თუ დემაგოგია!**

აქაური მენშევიკები იანვრიდან შეუდგნენ პატარა გაზეთის გამოცემას სათაურად „ნაშ გოლოს". გაზეთის იანვრის პირველ რიცხვების ერთ ნომერში, პრესაში, მოყვანილია ციტატა გაზ. „ვოზროჟდენიედან". მეპრესე კომენტარიებში აღნიშნავს: „ორგანო ქართველ ფედერალისტებისა „ვოზროჟდენიე" და არ ეთანხმება გაზეთს. მეორე დღესვე კომიტეტის მდივანმა სთხოვა რედაქტორს—ეს შეცდომა გაესწორებია, რადგან რუსული ორგანო ჩვენს პარტიას აზრადაც არ მოსვლია დაეარსებინაო. მაგრამ შეცდომა არ გაუსწორებიათ. შეიძლება აითლომ და სადოვსკიმ არ იცოდნენ ეს, მაგრამ ბაქრაძემ, ეორჟოლიანმა და ცისკარიძემ, რომელნიც იმ გაზეთში თანამშრომლობენ, ხომ იცოდნენ, რომ ქართველ სოც.-ფედერალისტებს რუსული ორგანოს დაარსება აზრადაც არ მოსვლიათ!? რა არის ეს? დემაგოგია თუ გაუგებრობა!

ლახგანიძე

# ჩვენი დრუჟინა ტრაპიზონში.

მეზღვაურები ჩვენ ბარჟას გვედავებოდნენ და ჩვენ კი მეორე ბარჟასაც დავეპატრონეთ. ამხ. დადიანმა თხუთმეტი რაზმელი გაგზავნა კიდევ ერთს ბარჟაზე და ერთი დღე-ღამე არავინ მიუშვით. იქ იყვნენ მესამე პოლკის ჯარისკაცები, შევატყობინეთ მათ, ურჩიეთ ეს მცირე ბარჟა მათ დაეჭირათ და არავისთვის არ დაენებებინათ. ასეც მოიქცნენ და მეზღვაურები იძულებულნი შეიქმნენ ისინი გემით გამოესტუმრებინათ. ჩვენს ბარჟაზედაც სამასამდე ქართველ ჯარის კაცს მივეცით ბინა.

ამის ატანა მოგვიხდა ჩვენ მეზღვაურებიდან, მაგრამ გაცილებით მეტი მწუხარება იმან განგვაცდევინა, რომ ადგილობრივმა ქართულმა ორგანიზაციებმაც (ეროვნულმა საბჭომ და სამხედრო საბჭომ) პირველხანებში თანაგრძნობა არ გამოგვიცხადეს. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ისინი დინჯად იქცეოდნენ და ფიქრობდნენ აუჩქარებლივ, ორგანიზაციულად გამოეზიდნათ მთელი ის აუარებელი ქონება, რომელიც სხვა და სხვა გაქცეულს დაწესებულების მათთვის გადაეცა. ჩვენ კი ვხედავდით, რომ ტრაპიზონს მხოლოდ რამოდენიმე დღის სიცოცხლე ჰქონდა და მერე იქიდან ჩხირსაც ვერავინ გამოიტანდა. ამიტომაც ჩვენ ვჩქარობდით და უკვე ჩასახულს ანარქიას ვსტაცებდით, რაც ხელში მოგვხვდებოდა, ისინი კი ერთობ დინჯობდნენ და უფრო მთავრობის როლით იყვნენ გართულნი.

ერთს საღამოს ამხ. დადიანს მოუვიდა საბჭოს წერილი, სთხოვდნენ კრებას დასწრებოდა. კრებაზე წავიდნენ ამხ. დადიანი, დ. მაჭავარიანი და შემდეგ მოვიდა ქუთათური ამხ. ვ. ავალიანიც. როგორც გვიამბეს დამსწრე ამხანაგებმა ეს კრება თურმე გადაქცეულა ჩვენ სამსჯავროდ. ილაპარაკა ხუთმა-ექვსმა ორატორმა და ყველანი ამტყუნებდნენ ჩვენს რაზმს და იქამდისაც კი მივიდნენ, რომ ყაჩაღებად და ჯიბგირებადაც დაგვსახეს, თავმჯდომარედ ამ კრებაზე იყო ამხ. ხინჩაკაძე, რომელმაც ცხარე სიტყვა წარმოსთქვა და ყოველივე ცილიწამებად დასახა. ბოლოს სიტყვა აიღო ამხ. ს. დადიანმა, ვრცლად გააცნო კრებას (სამოცამდე ჯარისკაცი იყო, პოლკის კომიტეტი და ეროვნული და სამხედრო საბჭოები) ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი რაზმის მიზანი, ტრაპიზონის მდგომარეობაც გააშუქა და... და მთავარი მამტყუნებელი კრებიდან გაიპარა, კრებიდან გაიპარა, კრებამ რაზმს ნდობა გამოუცხადა და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „შეერთებულმა კრებამ პოლკის კომიტეტისა და საბჭოებისამ იქონია მსჯელობა ს. დადიანის რაზმის შესახებ. ვინაიდან გამოირკვა, რომ რაზმის მოქმედება სრულიად სამართლიანი ყოფილა, კრება უცხადებს რაზმს ნდობას და სთხოვს გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები საბჭოში სამუშაოდ საერთო კონტაქტში. რაც შეეხება წამოყენებულს ბრალდებებს, ცნობილ იქნას გაუგებრობის შედეგად და ქუჩურ ჭორებზე აშენებულად", ასეთი გამარჯვებით დამთავრდა ეს ჩვენი გასამართლებაც.

ასე იყო თუ ისე, ათი დღე დავჰყავით ტრაპიზონს. აქაც დიდს განსაცდელს აეცდით: ჩვენ წამოველით ღამის ორ საათზე და მეორე დილით კიდეც აფეთქებულიყო ტრაპიზონის საწყობები. მეორე საღამოს ჩამოვედით ბათუმში და ახლა აქ გამოგვიცხადეს საზღვაო კომიტეტმა და ბოლშევიკებმა მეზღვაურებმა, რომ ზარბაზნებს და სხვა ქონებას რუსეთში წავიღებთო, ახლა აქ გაიმართა მოლაპარაკება რევოლიუციონურ კომიტეტსა და საზღვაო კომიტეტს შორის, ბევრი იბრძვნეს ქალაქის თავმა საბახტარაშვილმა, ამხ. ს. მდივანმა, ი. გოგოლაშვილმა და სხ. და ბოლოს, როგორც იყო ნება დაგვრთეს გადმოტვირთვისა.

სწორედ იმ საღამოს, როდესაც ჩვენ ტრაპიზონიდან ჩამოვედით, რევოლიუციონურს კომიტეტს მიუდო ცნობა, რომ ჩეტნიკები მიდიან ბათუმზეო. მთელი სამი-ოთხი საათის განმავლობაში საქმეს ვერც თავი და ვერც ბოლო ვერ გამოაბეს, თუმცა იქ იყო შეკრებილი ბათუმის ყველა სარევოლიუციო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ბოლოს, შემთხვევით იქ მყოფმა ამხ. ს. დადიანმა განუცხადა, რომ თუმცა დაღლილები არიან, მაგრამ ჩვენი დრუჟინა დახვდება იმ მომავალს მტერსაო, ოღონდ ცხენები მოგვეცით ან საბარგო ავტომობილები, რადგანაც ცუდი დარია და თან აჭარის წყლამდე კარგა მანძილიცაო. ამ წინადადებას სიხარულით შეხვდნენ, მაგრამ საუბედუროდ ცხენები დაუჭედელი ყოფილიყო და ავტომობილებიც შოფერების განკარგულებაში. მაინც წავიდა ამხ. ს. დადიანი ნავთსადგურზე და ერთს საათში რევოლიუციონურს კომიტეტს მოაყენა ას ოცდა ათი ჩვენი რაზმელი, მაგრამ ის იყო ამხ. ს. გოგოლაშვილს ეშოვნა ორი საბარგო ავტომობილი და ორმოცი კაცი წასულიყო აჭარის წყალში, ასე რომ იმ ღამე ჩვენ საჭირონი არ შევიქენით, რადგანაც ხმები გაზვიადებული გამოდგა. მეორე დღეს წამოვედით ტფილისისაკენაც. მოულოდნელი შემთხვევები თურმე კიდევ წინ მოგველოდა.

სვირის სადგურზე რომ მოვედით, ვიღაცებმა სადგურზე ამბავი დაგვახვედრეს, რომ ყვირილაში სოც.-დემოკრატების მილიციონერები და რაზმელები დაგხვდებიან და იარაღს აგყრიანო. ასეთი ცნობა ჩვენ არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, მაგრამ ის პირნი დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ, მაშინ ამხ. ს. დადიანმა გასცა ბრძანება და ჩვენც საბრძოლველად დავემზადეთ, რადგანაც უბრძოლველად იარაღის დანებება ჩვენ ვერ წარმოგვედგინა. ოფიცრებმა გასცეს საჭირო განკარგულებანი და მატარებელიც დაიძრა. აჰა მიუახლოვდით ყვირილას. ვოგზალზე დიდძალი ხალხი ირევა და წითელი დროშაც ფრიალებს. ასე ორმოც საჟენზე ჩაგვიარა ერთმა კაცმა და მოგვაძახა: რაზმელები არიან და გაფრთხილდითო. ამასობაში მატარებელიც სადგურს მიუახლოვდა. გაჩერებამდე ამხ. დადიანი ჩამოხტა კიბიდან და თოფით ხელში ხალხს მიაშურა, მას მოეგება მილიციონერთა უფროსი, როგორც მერე გავიგეთ საყვარელიძე და გამოირკვა შემდეგი: ჩვენზე წინ ჩამოიარა მატარებელმა და იქიდან ეთქვათ, რომ მოდის ეშელონები და გზაზე ყველაფერს არბევსო. ამიტომაცო გვიამბო საყვარელიძემ, დავაკეტინე ქალაქი, სადგური და მოვემზადეთ შესახვედრათო, მაგრამ სვირში ტელეფონით შევეკითხე და გავიგე, რომ ეს თქვენ იყავით და მაშინ დავმშვიდდითო. ჩვენც ჩვენი უამბეთ და იქაურებმა მწუხარება გამოსთქვეს, რომ ისინი არ დავიჭირეთ, როგორც პროვოკატორებიო.

რომ ასეთი გაუგებრობა გზაში არ მომხდარიყო, ყვირილის მმართველობის პირთ დეპეშა დაჰკრეს ტფილისამდე: „მუშათა მშვიდობიანი დრუჟინა მოდის, გთხოვთ მშვიდათ დახვდეთო" და მგონი კომიტეტის თავმჯდომარე ხაშურამდე გამოგვყვა, რომ ხაშურელებიც მშვიდად შეგვხვედროდნენ.

მოვედით ხაშურშიაც. აქ კი ცოტა უსიამოვნება შეგვხვდა ცნობილი იმნაიშვილის უტაქტობით, რომელსაც იმ რაიონის მეფედ წარმოუდგენია თავი. ხაშურში მატარებელი დიდხანს იდგა. ყმაწვილები ბუფეტში ზოგი ჩაის სვამდა, ზოგი ხილს ყიდულობდა და ზოგიც პლატფორმაზე დასეირნობდა.

პლატფორმაზე დადიოდა ერთი ვიღაც ჯარის-კაციც (ჩვენს მატარებელში ორი-სამი ვაგონით კიდევ მოდიოდნენ სომხისა და რუსის ჯარის-კაცნი) და ხელში ვინჩესტერის სისტემის თოფი ეჭირა. მასთან მივიდა ვიღაც ადგილობრივი მცხოვრები, როგორც გვითხრეს რუსი და სთხოვა თოფი ეჩვენებინა. აიღო ხელში, მაგრამ გამოუცდელობით, მოულოდნელად გაუვარდა. როგორც ეტყობა ეს სროლა ხაშურის მეფეს იმნიაშვილს ჩვენი ეგონა, შემოვარდა ბუფეტში და ძველი რეჟიმის ბოქაულივით დაგვიყვირა: „что это за банда пріѣхала, что это за безобразіе?"-ო ასეთი გაუკითხავი ლანძღვა, რასაკვირველია გვეწყინა და ჩვენდა საუბედუროდ სიტყვა შეუბრუნეთ: „ჩუმად, დაგვიყვირა ისევ მან რუსულად, თქვენ არ იცით ვის ელაპარაკებითო?" ასეთმა საქციელმა უფრო აალელვა ისედაც ნერვებ დაჭიმული ამხანაგები, ერთმა იძრო მაუზერი და გაქანდა ამ მყვირალა პიროვნებისაკენ, მაგრამ სხვებმა დავიჭირეთ აღელვებული ამხანაგი და ვაგონში შევიყვანეთ. ამასთანავე დავინახეთ ჩვენკენ რევოლვერით, რომ მორბოდა ვიღაც, ჩვენ ვიფიქრეთ უთუოდ ჩვენს წინააღმდეგ მოდისო და გვინდოდა რევოლვერი წაგვერთმია, მაგრამ ამხ. დადიანმა გვთხოვა ვაგონებში შევსულიყავით და უცებ ყოველივე დამშვიდდა. მხოლოდ არ დამშვიდებულა ბ. იმნაიშვილი, რომელიც რევოლვერის დანახვაზე მარდად გაიქცა და იმ წამსვე დაბეზღების დეპეშა გამოეგზავნა კიდეც ტფილისში: სადგური დაარბიეს, მე თოფი მესროლეს და სხ. დეე, ეს სიცრუეც მის პატიოსანს სინდისზე იყოს.

ასე გათავდა ჩვენი ლაშქრობა ტრაპიზონს.

რაზმელი გ. ხი—ლი.

## დროა!

დადგა საშინელი განსაცდელი! ერის ძახილის ნაცვლად გოგიამ ზარი უკვე ჩამოჰკრა! ირგვლივ გაისმის ზარის გუგუნი, გვეხმობს, გვეძახის: ისმინეთ, ისმინეთ ერის ძახილი!

დღეს იგი უნდა აღსდგეს, ან უნდა დაეცეს სამარცხვინოდ, სასტიკად დამარცხებული!.. დადგა განწირვის დღე!

გმირნო, რაინდნო, მამულიშვილნო, დაიხსენით განსაცდელისაგან ერი და თავისუფლება! კმარა ვაება!

საჩქაროდ ჯარი, იარაღი, ტყვია-წამალი! ეხლა დრო არის გამაგრების, გასალკლდევების! დროა ვაჩვენოთ მტერს ჩვენი ძალა, ჩვენი სურვილი!.. დროა შევძახოთ, რომ მზადა ვართ შევსწიროთ თავი თავისუფლებას! რომ ჩვენ თავს ვიცავთ, რომ სხვისი ჩვენ არა გვინდა რა!,. რომ ჩვენ „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურავინ შეგვეცილება!"—დროა გავმაგრდეთ და ავცდინოთ მოსალოდნელი უბედურება!

ვისაც არა სურს ომი, სისხლის ღვრა, ვისაც არა სურს ველური მტრის „მუხრუჭი ძვალი", ვისაც არა სურს ძმათა ლეშზე მტრისა ზეიმი,—საჩქაროდ ჯარში, იარაღით თავდაცვისათვის!.. კმარა ყოყმანი; ნულარ ვყოყმანებთ! საჭირო თავდაცვა, ჯარი!.. მუდამ გვახსოვდეს, რომ:

სჯობს ცოცხალ მონას
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

ს. ხიმშელი

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

**ასპირინი. ქინაქინა. სალოლი.** ფოტოგრაფიისათვის საჭირო მასალები: ლია ბარათები პევერტისა და ლეონარის, ჰიდროქინინი, საზღვარგარეთის ფირფიტები, ჰიპოსულფიტი და სხვა. საზღვარგარეთის სურნელება („დუხი"). მისამართი: ტფილისი, სომხის ბაზარი, უგოლნაია № 12, 8—10 საათამდე და 2—7 ს. ბ. ამირზადიანი. იქვე იყიდება 100 ფუთი ქიშმიში და 10 ფუთი გამხმარი თუთა. 279

1918 წ. თებერვლის 28 დღ. დავკარგე შაქრის ბარათი სამი სულის № 95378 და № 216018, ვთხოვ სულ ყველას გაუქმებულად გამოაცხადონ, ვშიშობ ბოროტად არავინ გამოიყენოს. ჩემი მისამართი ტფილისის საქონლის სადგური სილოვან ნიკოს ძე ბარამაძე.

**საბუღალტრო კურსები**
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბები და საშვილ სნეულ. მიიღ. ყოვ დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. ნიკოლოზოვის ქ. № 7, სახლი 5. 134

ექიმი
**მ. ო. ზანდუკელი**
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხოტერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, და პარასკევს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
**ზ. გ. ნარიმანოვი**
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1098

ექიმი
**ვ. მუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი კბილისა
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეკის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
**პ. ტყეშელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
**ე. ლ. შალამბერიძე**
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადთა საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 16—87. 1009

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
**გ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და ხიხნის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „მონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ძ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
**მ ა ჩ ა ბ ე ლ ი**
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
**თ ი კ ა ნ ა ძ ე**
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
**[illegible]**
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი [illegible]შვილისა. ტელეფ. 5—77. 1030

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
**ზ. გ. მეჭრაბიანცი**
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—პლევრის და გულისა. ახალი რენტგენელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 2 უბანი. 1002

ექიმი
**ნ. გ. მრევლიშვილი**
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავათმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 153

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო**
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იფილ... ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9 $^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**
ამით აუწყებს ტრაქტირების პატრონთ, რომ 1918 წელს ქალაქის სასარგებლოდ შესაკრებ სატრაქტირო გადასახადის დანაწილება უკვე დასრულდა.
საჩივრის შემოტანა შეიძლება 1918 წლის 10 მარტამდე.
ცნობების მიღება გადასახადის რაოდენობის შესახებ შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელიარიაში, რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზე, ქალაქის სახლში, შეიძლება აგრეთვე აგენტებთან (გაჭრობისა და მეურნეობის ყოფილ ზედამხედველთან). 1092

**„სახალხო საქმი"-ს**
**რედაქციის კანტორაში**
**იყიდება შემდეგი წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ. | |
| დოლიძე(?) თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I | 4 „ | |
| გრდემლი წ. I | 3 „ | |
| ქართველი მწერლები. | 2 „ | |
| უცხოეთის „ | 2 „ | |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა". | — | 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე". | 1 „ | 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო" | — | 40 |
| დოლიძე თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი" | — | 50 |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".